



გაზეთი გაემოდის  
1930 წლის 5  
ნოემბერიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამბრაღიის

N4 (9256)

10 თებერვალი. 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

### ახალგაზრდების ჩართულობა აქტიური მოქალაქეობისათვის

3



### აღსადგენი სილი საჯავახოს მიმდებარედ

2

სამტრუკიაში მშპ  
პირუბის  
საქიოტებზე  
მომუშავე საბჭო  
შვიქმნა

2

### 2 სასწრაფო რამდენიმე ახარ მისამართზე

### მყნიციპალური ხარჩუნების მართვისთვის

4

### 3 გაანადგურე სახვამო ბაღი საუბარი გახვამბის მონასტრები

### "ბიბლიის გაყვითლებს" მსმენელი ახსოვებს აქლია



*"სამტრუკიის მაცნეს" აღიარებული  
მეთოდით მეთოდ სავსით სყოლმ  
აქმსწინძლმ*



6

5

### ჩვენ ბერძენი ჩი უახარ!



# აღსადგენი ხიდი საჯავახოს მიმდებარედ

## თმა გაგზავნილი

სამტრედიის-ლაჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-8 კილომეტრზე, სამტრედიის ტერიტორიაზე, მდინარე თხილნარაზე ახალი საავტომობილო ხიდი აიგება. რადგან მშენებლობა უკვე დაწყებულია და იგი მუნიციპალიტეტისა და მის ხელმძღვანელობის გვერდის ავლით მიმდინარეობს, გარემოს დაცვის სამინისტროს და გზების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის მიერ ადგილობრივ მერიამი საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო. საჯაროდ განიხილეს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში.

როგორც მომხსენებელმა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტების კონსულტანტმა, ლუიზა ბუბაშვილმა

აღნიშნა, ხიდი არ არის დიდი, მაგრამ აუცილებელი სექციონია საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე გამართული საავტომობილო მოძრაობისთვის. რადგან ამჟამად იქ არსებული ხიდი ვერ გაუძლებს ინტენსიურ საავტომობილო დატვირთვას, შეუფერხებელი მოძრაობისთვის აუცილებელი გახდა მშენებლობის სასწრაფოდ დაწყება. სამუშაოები ტენდერის გამოუცხადებლად დაიწყო. რაც შეეხება ხიდის პარამეტრებს, იგი არ არის დიდი, მოკლე ხილია, დაახლოებით, 33 მეტრი სიგრძის, მაგრამ, დატვირთვიდან გამომდინარე, აუცილებელი პირობაა მისი განსაკუთრებული მდგრადობა. როცა ავტობანის მშენებლობა დასრულდება, ხიდი მისი შემოვლითი გზის ფარგლებში მოექცევა და გააგრძელებს ფუნქციონირებას. ის მონაკვეთი, რომლის მიმდებარედ

აც ხიდის მშენებლობა წარმოებს, უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, რომ არა გზების დეპარტამენტსა და მის კონტრაქტორ კომპანიას შორის წარმოქმნილი გარკვევლობა. ფაქტობრივად, “არ იცვლება ხიდის პარამეტრები. იგი კვლავ იქნება ბურჯზე დაიდგება. დაწყებული სამუშაოები არანაირ მანერ ზემოქმედებას არ იწვევს გარემოზე. დაახლოებით 7 თვეში ხიდი ექსპლუატაციაში გავა. გარემოს დაცვის თვალსაზრისით მაინც გარკვეულ რისკებთან გახლდათ მშენებლობა დაკავშირებული, რაც მტკრის, ხმაურისა და მშენებლობის პარალელურად მოძრაობის ორგანიზებაში გამოიხატებოდა. თუმცა, რადგან ხიდის ბურჯები ორივე მხრიდან მდინარის განაპირას აიგო, და მდინარეში არანაირი სამუშაოები არ ჩატარებულა, არ მოჭრილა ნაპირზე ხეები,

გარემოზე ზემოქმედების რისკი მინიმალური გახლავთ. უახლოესი ერთი მოსახლე მშენებარე ტერიტორიიდან 80 მეტრშია.” აკონკრეტებს ლუიზა ბუბაშვილი. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მეტად დასაზუსტებლად, ეს გახლავთ საჯავახოს თემის მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, სოფელ საჯავახოს შესასვლელში.

სამუშაოებს შპს “სახარია” აწარმოებს, რომელსაც მუშაველი ადგილობრივი მოსახლეობიდანაც ჰყავს დაქირავებული.



# სასწრაფო დახმარება ახარ მისამართზე

## თმა გაგზავნილი

სასწრაფო დახმარების შენობა მისამართის მალე შეიქმნის. სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაერთი წელია ერთსა და იმავე ადგილზე მყოფი, იქვე, მუხობლად, ახალ შენობაში დაიდებს ბინას. ანუ იქ, სადაც სამტრედიელებს დაარსების დღიდან გაუქმებამდე ტუბდისპანსერი ეგულეობდა. ლამაზ ენოში მდგარი, წლებია მიტოვებული და გაპარტახებული ეს სამედიცინო დაწესებულება

ბა, სასწრაფო დახმარების ახალი შენობის ასაგებად დაანგრის. სამუშაოები, რომლისთვისაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი 145 ათასი ლარი დაიხარჯება, უკვე დაწყებულია. იქამდე, როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი ავთანდილ ნაცვლიშვილი ამბობს, “2017 წლის ბოლოსთვის უკვე უნდა დასრულებულიყო მშენებლობა, თუმცა, იმის გამო, რომ ენოს კეთილმოწყობა აუცილებელი გახდა, დასრულებული სახის მისაღებად მი-

მდინარე წლის აპრილის პირველი რიცხვებისთვის დასრულდება და ჩაბარდება. იგი სამედიცინო დაწესებულებისთვის მოსახერხებელი ტიპური, ერთსართულიანი ნაგებობა იქნება.” ამჟამად სამსახურის მთავარი სპეციალისტი ოთარ თევზაძე აკონკრეტებს, რომ ენოს კეთილმოწყობა, რომელიც საკუთარ თავზე ადგილობრივმა ბიუჯეტმა აიღო, 12 ათასი ლარი დაჯდება.

სასწრაფო დახმარების შენობის ადგილობრივების შეცვლა ოპოზიციის ხმ-

ამდალი განცხადებების გაკეთების საბაზის გასულ წელს, როცა ეს საკითხი გაუღრდა, უკვე გახდა. ხელისუფლებამაც პასუხად საკუთარი არგუმენტები არაერთხელ დააფიქსირა. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი სულაგა კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ: “შემოთავაზება ჯანდაცვის სამინისტროსგან მივიღეთ. მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაუგებრობა თავად სამინისტროში მოხდა. თუმცა, აქვე დავსვენ, რომ მიწა, რომელზეც სასწრაფო დახმარება ახლ-

აა განთავსებული და შენობაც, სადაც ის ამჟამად ფუნქციონირებს, 100%-იანი სახელმწიფო წილით კვლავ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში რჩება. ეს ტერიტორია კერძო მფლობელობაში არ გადასულა.” როგორც მერის მოადგილე აცხადებს, ახალ მისამართზე გადასვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტის დაწესებულებაში დარჩენილ სასწრაფო დახმარების მიერ დაცვულ შენობაში რომელიმე აიპი განთავსდება.

# სამტრედიის შპმ ჰირების საკითხზე მომუშავე საბჭო შეიქმნა

## 6060 ნაბიჯი

მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას ბრძანებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეიქმნა შენდულული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომლის შემადგენლობა შემდგომარად დაკომპლექტდა: დავით ბახტაძე, მერის მოადგილე – საბჭოს თავმჯდომარე, ლევან ახობაძე, მერის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრები: კობა დიმიტრი – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნატალია მანჯგალაძე, მერის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის,

სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია – მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, დავით ბაღდაძე – მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე – მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, გიორგი ლეჟავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ელენე ბოხუა, სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ზათუნა გაგუა, სოციალური აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, დარეჯან ქავთარია, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი. საბჭოს ასევე ჰყავ-

ს მდივანი, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი, რუსუდან კვანტალიანი.

7 თებერვალს საბჭო შეიქმნა და დღის წესრიგის მიხედვით დამტკიცებული საკითხები განიხილეს. საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ დავით ბახტაძემ. 2018 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ძირითადი პარამეტრები საბჭოს წევრებს გააცნო ლევან ახობაძემ. განსაკუთრებული განხილვის საგანს წარმოადგენდა მითითებული სოციალურ პროგრამაში შპმ პირებისათვის განსაზღვრული პროგრამის მუხლები.

საბჭოს წევრებმა მოსახერხებელი გამოთქვეს შპმ პირების, ზოგადად საზოგადოებაში მათი ადაპტაციის, პირობების

გაუმჯობესების შესახებ.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული შპმ პირების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნის აუცილებლობაზე, რასაც საბჭოს წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. თავმჯდომარისგან შესაბამისი დავალებები მიიღეს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურებისა და აიპი-ი “სოციალური აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების” ხელმძღვანელებმა. “სამტრედიის მაცნე” სხდომის ბოლოს კომენტარი სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს, დავით ბახტაძეს: “ძალიან მნიშვნელოვანია, სამტრედიის შპმ პირების საკითხებზე მომუშავე საბჭო რომ შეიქმნა. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს შპმ პირ-

ების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, იმედი მაქვს, რომ საბჭოს ამჟამინდელი შემადგენლობა კონსტრუქციული მუშაობის შედეგად ნაყოფიერად იმუშავეს. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული გეგმებს, სრულყოფილი ანალიზის მიხედვით, შპმ პირების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს, გავანალიზოთ და დავსახოთ პირველი რიგის ამოცანები. საბჭოს მომდევნო სხდომებზე ყოველივე ამის დეტალური განხილვა მოხდება. სხდომების ჩატარების შესახებ საზოგადოება წინასწარ იქნება ინფორმირებული და მსურველთა დასწრება იქნება თავისუფალი.”

## თმა გაგზავნილი

ადამიანური გრძობებისა და მოვალეობებისადმი ერთი შეხედვით გაუცხოებულ დღევანდლობაში ჯერ ისევ მოიძებნებთან ისინი, ვისთვისაც სხვისი ჭირი ღობის ჩხრია არასდროს ყოფილა. ასეთებიც არსებობენ, და საჯაროდ, არც თუ ცოტა. სწორედ მათზე დგას ისეთი დაწესებულებები, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სისხლის ბანკა, სადაც უსასყიდლოდ იღებენ სისხლს გასაჭირში მყოფი უცნობი ადამიანების დასახმარებლად. თავის მხრივ, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკი აქციებს აწყოებს მსურველთათვის ადამიანური მოვალეობების მოსახდელად.

საზოგადოების მეტი ჩართულობისთვის აქციაში “გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად”, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის დირექტორი ლამა კვანტალიანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში შეხვედა მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელ პირებს. შეხვედრა მერიის სხ-

# სიცოცხლის გადასარჩენად

დომათა დარბაზში გაიმართა. “მადლობა ამ მხარდაჭერისთვის სამტრედიის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას.” – ამ სიტყვებით დაიწყო ლამა კვანტალიანმა და შეკრებილები აქციის მიზნებსა და მოთხოვნებში გაარკვია. სისხლის ჩაბარების მსურველები სამტრედიის, თამარ მეფის 11 ნომერში თავდაპირველად უმაღლესი დონის, თანამედროვე, მე-4 თაობის აპარატურით უფასოდ გაივლიან ყველაწარამ სამედიცინო შემოწმებას. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საკუთარი სისხლის ჯგუფზე. სისხლის გაღების მსურველი, უპირველესად, თავად უნდა იყოს აბსოლუტურად ჯანმრთელი. დონორები ან სრულიად უფასოდ ჩააბარებენ სისხლს, ან მათ მიეცემათ კვებითი ღირებულების თანხა 25 ლარის ფარგლებში. ერთ ჯერზე 300 გრამი სისხლის გაღება რეკომენდებული. განმეორებით სისხლის გაღება მხოლო-

დ 2 თვის შემდეგ შეიძლება. როგორც ლამა კვანტალიანმა აღნიშნა: “თუ დონორს ორჯერ ექნება სისხლი უფასოდ გაღებული ჩვენს სისხლის ბანკში, მისი ან მისი ოჯ-

ახის წევრის საჭიროების შემთხვევაში, ჩვენგან უფასოდ მიიღებს სისხლის მისთვის აუცილებელ კომპონენტს. ჩვენთან სისხლი არ იყიდება, საავადმყოფოს მოთხოვნის სა-

ფუძველზე იგი უშუალოდ საავადმყოფოს გადაეცემა. დანტერესებულ პირს მხოლოდ კურიერის ფუნქცია შეიძლება ექნეს.”

შეკრებილთაგან აქციით არაერთი ადამიანი დაინტერესდა. ლამა კვანტალიანმა კი დასძინა, რომ ისინი მზად არიან, სხვადასხვა ორგანიზაციაში გამართონ შეხვედრები აქციის პირობების გასაცნობად.





# ახალგაზრდობის ჩართულობა აქტიური მოქალაქეობისათვის

## ქართველნი ჭაბუკნი

საქართველოს წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალი კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტს განხორციელებს. იგი იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ადამიანებზე იქნება ორიენტირებული. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მუნიციპალიტეტს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სოციალური პროექტების

ერთი წელია, მუნიციპალიტეტთან ერთად სამტრედიისში წარმატებით მიმდინარეობს და სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებას ითვალისწინებს. “შეორე პროექტი, რომელიც “შოკენის” ფონდით დაფინანსდება, იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების გაძლიერებას გულისხმობს. სხვადასხვა საქმიანობაში 14-დან 28 წლის ახალგაზრდები ჩაებმებიან. პროექტის მიზანია, მათი კეთილდ-

რდინატორმა მარიამ ნიკოლაშვილმა და მსწრეთ პროექტი წარუდგინა და დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა მის შესახებ. “როგორც კი ხელისუფლებაში მოვედით, მაშინვე დაიწყეთ იმ ორგანიზაციების მოძიება, რომელთაც განსაკუთრებული საერთაშორისო გამოცდილება აქვთ. სწორედ ასეთი გახლავთ წითელი ჯვარი. აღმოჩნდა, რომ სამტრედიისში ეს ორგანიზაცია არ არსებობდა. შევეცად-



კოორდინატორი ნინო დიდბერიძე, ფილიალების განვითარების კოორდინატორი ნინო სამადალაშვილი და ახალგაზრდული პროექტების კოორდინატორი მარიამ ნიკოლაშვილი ეწვივნენ. შეხვედრა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შედგა, რომელსაც პროექტის სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მისი პირველი მოადგილე ირაკლი სულავა და მერიის ვანძირთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ლევან ანთაძე დაესწრნენ. გორის შემდეგ პროექტი სამტრედიისში იმუშავებს, რადგან, როგორც ნინო დიდბერიძემ შეკრებილთ განუცხადა: “აქ იყო მუნიციპალური მხარდაჭერა. ნებისმიერი დონორი ორიენტირებულია, იქნოს იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომა, სამტრედიის კი ერთ-ერთია. ნინო დიდბერიძემ იმ პროექტზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც

ლეობის ხელშეწყობა, სხვადასხვა შესაძლებლობების განვითარება, შემოქმედებით სოციალურ საქმიანობაში ჩართვა აქტიური მოქალაქეობისათვის. ეს ითვალისწინებს ახალგაზრდების ძლიერი სტრუქტურული ქსელის ჩამოყალიბებას, რეკრეაციული ზონის არსებობას, “შეგობრობის ოთახის” შექმნას, სადაც ისინი თავიანთი იდეების ჩამოყალიბებას მოახდენენ. გათვალისწინებულია, აგრეთვე, სამდღიანი ახალგაზრდული ინოვაციური ბანაკი და სხვა. გაძლიერება დახმარებას არ გულისხმობს, არამედ ეს პროექტი განვითარებაზე ორიენტირებულია. ამაში კი თქვენი ჩართულობა დაგვჭირდება.” ქალბატონმა ნინომ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ვალერიანე ფოცხვერიას, რომელმაც სამტრედიისში პროექტის განხორციელების იდეას დაუჭირა მხარი და მასთან ერთად საინტერესო კითხვებს გასცა პასუხი. ახალგაზრდული პროექტების კოო-

რდინატორმა მარიამ ნიკოლაშვილმა და მსწრეთ პროექტი წარუდგინა და დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა მის შესახებ. “როგორც კი ხელისუფლებაში მოვედით, მაშინვე დაიწყეთ იმ ორგანიზაციების მოძიება, რომელთაც განსაკუთრებული საერთაშორისო გამოცდილება აქვთ. სწორედ ასეთი გახლავთ წითელი ჯვარი. აღმოჩნდა, რომ სამტრედიისში ეს ორგანიზაცია არ არსებობდა. შევეცად-



## განსხვავება

ქართულ-ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის იდეების განვითარების ფონდის ZEITER – იმერეთის დირექტორის მითითებით სამტრედიის ფილიალმა 6 თებერვლიდან შეწყვიტა საპროექტო განცხადებების მიღება.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ დირექტორს, დავით ჯაბიძეს.  
ტელ.: 595 90 54 30.

# განსხვავებული სახეები ბაღში საერთაშორისო ბავშვების ბინახეობით

## თბილისის ბავშვთა სახლი


საახალწლო შესვენების შემდეგ შედარებით გვიან განახლებულ სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის პირველ საბავშვო ბაღში საბავშვო მინი-ბაღის დახმარებით დასრულდა. საბავშვო ბაღის მონახულება მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მოადგილე დავით ბახტაძემ, კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, საკრებულოს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელიამ და სოლიდური დაწესებულებათა გაერთიანების პირველმა პირებმა, სასწავლო პროცესის განახლების პირველსავე დღეს გადაწყვიტეს. “სრული და კაპიტალური რეაბილიტაცია შეიძლება არ დაერქვას, თუმცა, პირველი საბავშვო ბაღი თავიდან ბოლომდე საფუძვლიანად გარემონტდა. მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულო, საწყობი, დერეფნები და ის ოთახები, სადაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებია განთავსებული. სახე იცვალა სამუსიკო დარბაზში. ეს ყველაფერი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სამუშაოზე 100 ათასი ლარი დაიხარჯა. საბავშვო დაწესებულებათა გაერთიანების ძალისხმევით შეიცვალა და განახლდა სამზარეულოს ტექნიკა და ინვენტარი.” – ამბობს სო-

ლიდური დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა. როგორც უკვე ცნობილია, დაინტერესებული პირები და საბავშვო ბაღების აღსაზრდელების მშობლები ამაში უკეთ არიან გათვითცნობიერებულნი, მიმდინარე წლის ბიუჯეტში სოლიდური თანხა ჩაიდო ბავშვების კვების გაუმჯობესებისთვის. მრავალფეროვანი მენიუს დასტურში ამ ბაღის საწყობი გახლდათ შეტანილი პროდუქტების მარაგით. საბავშვო ბაღის მმართველი მარინა შენგელია მეგობრობას უწყევდა სტუმრებს, მოწესრიგებულ ინტერიერს ათვალიერებინებდა და აცნობდა: “მოგეხსენებათ, ჩვენთან სასწავლო პროცესის დაგვიანებით განახლებას სასიხარულო მიზეზი ჰქონდა. სარემონტო სამუშაოების გამო, რადგან მუშაობა დაგვიანებით გა-

ნახავდით, ჩვენი აღსაზრდელები სხვადასხვა ბაღებში არიან გადანაწილებული. ამ ეტაპზე 90 ბავშვზე მეტი ირიცხება ჩვენთან, თუმცა ეს, ძირითადად, ახალი კონტინგენტია, ჩვენი აღსაზრდელების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ გამო-

აღზრდული ჯგუფებში სტუმრების შესვლისას ბავშვების აქტიურობამ მისცა. გამოცდილ პედაგოგთა ჯგუფი მეთოდისტი, ლელა ხუჭუას დახმარებითა და საკუთარი პროფესიონალიზმის წყალობით წარმატებით ართმევს თავს ამ ვალდებულებას. თუმცა, მეტი სრულყოფისთვის მარინა შენგელიას კიდევ ერთი თხოვნა აქვს: “გვინდა დაემატოს რიტმის მასწავლებლის შტატი. ამ სახელწოდებითაა მითითებული საშტატო განრიგში, ეს იგივე ქორეოგრაფიაა. კარგი იქნება, თუ ჩვენს ბავშვებს არც ამ კუთხით ექნებათ შესაბამისი ცოდნის მიღების ნაკლებობა.” მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სტუმრობა სადღისთვის მზადების წინა პერიოდს დაემთხვა. სამზარეულოს დათვალიერებისას მუნიციპალიტეტის მერმა ხაზი გაუსვა, რომ მუნიციპალიტეტი სოლიდურ თანხას ხარჯავს ბავშვთა კვებისთვის. ამიტომ, ამ მხრივ, ყველაფერი უნაკლოდ უნდა იყოს.

ის, რომ საბავშვო ბავშვების რეაბილიტაცია პრობლემატური მუნიციპალიტეტისთვის, ძველი და კარგად დავიწყებული ლოზუნგის – “ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს” – მოშველიებით არაერთგვარადაა აღინიშნა. გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძემ ხაზი გაუსვა, “დაგვეწყვიტო პირველი საბავშვო ბაღიდან, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა იყო.





# მაცნიციპალიტეტი ნარჩუნების მართვისთვის

### კომპანია ჩელიკი

წლები დასჭირდა, ვიდრე, ასე თუ ისე, ურნაში ნაგვის ჩაყრას მივეჩვიოდათ. ასე თუ ისე, რადგან ჩვენი დამოკიდებულება გარემოსთან, სხვა მხრივ რომ არაა, პოლიეთილენის პარკებით აფერადებულ ვრცელ ტერიტორიებზე აისახება. ზოგიერთ ამ ე. წ. “უკვდავ ნარჩენს” 1000 წელი სჭირდება დასაშლელად. მის რეციკლირებას, ანუ გადამუშავებას კი 96 პროცენტი არ ექვემდებარება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, მსოფლიოში ყოველწლიურად 4-5 ტრილიონი ასეთი პარკი იწარმოება, ადვილი მისახვედრია, ჩვენი დაუდევრობით რა ზიანი ადგება გარემოს.

რადგან სწორება ვეროპაზე გვაქვს, ჩვენც ამ პოზიციიდან უნდა მივუდგეთ საქმეს. შეიძლება, ჯერჯერობით, შევდეთისა და ნორვეგიის მსგავსი ნარჩენების მართვის სახელმწიფო მოდელები ვერ შევქმნათ, მაგრამ საკუთარი სახლის იქით ზრუნვა სისუფთავეზე არა მარტო ეკოლოგიურად, ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც წაადგება თითოეულ ჩვენგანს.

ეკოლოგიური საფრთხის

წინაშე მდგარი მსოფლიო მოსალოდნელი შედეგების ასარიდებლად გზებს ეძებს. ამ თვალსაზრისით ნარჩენების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გარემოსდაცვითი რუკაზე უკვე საქართველოც არის აღნიშნული. შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი 2010 წლიდან ახორციელებს პროექტს – “დავასუფთავოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში”.

სამწუხაროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში (და არა მარტო ჩვენთან) გარემოს დასახუფთავებლად მოწყობილი ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა ამ მიმართებით მასის ცნობიერების ასამაღლებლად. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები ბევრად უფრო ღრმაა. “შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო ვერ ხერხდება ნარჩენების მართვის ეფექტიანი მომსახურებები. მუნიციპალიტეტის ურბანულ დასახლებებში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურებები გარკვეული დონით მაინც არსებობს. მუნიციპალიტეტის

სოფლების უმრავლესობა საერთოდ მოკლებულია აღნიშნულ მომსახურებას”. – ნათქვამია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2018-2022 წლებს მოიცავს. მისი მიზანი ეროვნული საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების დაკმაყოფილება და გარემოს დაცვის კუთხით ევროკავშირში მიღებულ სტანდარტებთან დაახლოებაა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების 5 წლიანი სამოქმედო გეგმა საგანგებოდ შექმნილია ჯგუფმა შეიმუშავა, რომლის თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძეა.

ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში და ჯგუფის წევრი ალექსანდრე ნაცვლიშვილი მუნიციპალიტეტის მყარი ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმასა და ნარჩენების მართვის კუთხით დღემდე გადაუჭრელ საკითხებზე გვესაუბრება:

გავსაყრელელებზე, უმეტესად განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 2 დიდი ინერტული მასალების სტიქიური ნაგავსაყრელის გასუფთავება და მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება. ასევე მოხდება აღნიშნულ ტერიტორიაზე 24 საათიანი ვიდეონაბრუნვის განხორციელება. რა თქმა უნდა, დამრღვევთა მიმართ გატარდება შესაბამისი საჯარიმო სანქციები. ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სხვა მცირე ზომის სტიქიურ ნაგავსაყრელებზე, რომლებზეც უმეტესად საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსებული, გაიწმინდა და ეტაპობრივად მოხდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანა. რაც შეეხება სოფლების ტერიტორიაზე არსებულ სტიქიურ ნაგავსაყრელებს, ისიც გაიწმინდა და პარალელურად მოხდება საჭირო კონტეინერების განთავსება.

– აქტუალურია სეპარირების საკითხი, რომლის პრაქტიკაც ჩვენთან არ არსებობს. რაც უფრო იზრდება მყარი ნარჩენების რაოდენობა, მით უფრო აუცილებელი ხდება მისი სეპარირება და გადამუშავება. სამტრედიის მუნიციპალიტეტში როგორაა შესაძლებელი ამის მიღწევა?

– ნარჩენების მართვის კოდექსით ითვალისწინება, მუნიციპალიტეტებმა ეტაპობრივად შემოიღონ სეპარირების პრაქტიკა. აქ პრობლემას ლოჯისტიკის მხრივ წარმოადგენს ის, რომ რამდენიმე კონტეინერი უნდა დაიდგას. ასევე უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება. ამ საკითხებზე დროულად თუ არ დაიწყო მუშაობა, შედეგს ვერ მივიღებთ. მარტო მუნიციპალიტეტს არც მატერიალური და არც სხვა საშუალება არა აქვს, მიაღწიოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, სახელმწიფოსთან ერთად კონსოლიდირებულად უნდა განხორციელდეს ყოველივე.

ჩვენ ამ გეგმის შედგენის პროცესში რამდენიმე ექსპერიმენტი ჩავატარეთ. წინასწარ მივაწოდეთ მოსახლეობას ინფორმაცია, გამოვიკითხეთ, შეძლებდნენ თუ არა ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას. რეალური შედეგები აბსოლუტურად განსხვავდებოდა გამოკითხვის შედეგებისგან. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საერთოდ არ განახორციელა ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. საცდელად შერჩეული იყო ქალაქის ტერიტორიაზე ბინის ტიპის დასახლება, ასევე ქალაქში კერძო ტიპის დასახლება და სოფელი. ყველაზე დადებითი 4-4 ბუნკერი. ექსპერიმენტის მიზანი იყო, გავერყვიოთ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ერთ სულ მოსახლეზე დღეში რამდენი ნარჩენი გროვდებოდა, ასევე, როგორ მოხდებოდა სეპარირება ნარჩენების, ვთქვათ, შერეული ნარჩენის, ქაღალდის, პლასტიკის და მინის. ქალაქში შედარებით უკეთესი მდგომარეობა დაფიქსირდა. სოფელში კი არ ათავსებდნენ ნარჩენებს ბუნკერებში, ან არეული იყო სხვადასხვა კომპონენტით.

მართალია, ვერ დავაგინეთ, ერთი ადამიანი დღეში რამდენ ნარჩენს წარმოქმნის, მაგრამ ის კი დადასტურდა, რომ ცნობიერების კუთხით ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს.

– სახიფათო ნარჩენებზე რას გვეტყვი, რა იგულისხმება ამ ტიპის ნარჩენებში და რა რაოდენობით გვხვდება იგი მუნიციპალიტეტში არსებულ ნაგავსაყრელებზე?

– სახიფათო ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტის კომპეტენციას არ განეკუთვნება, მაგრამ ამ პრობლემასთან შეხება მაინც გვაქვს. სახიფათო ნარჩენების მიეკუთვნება საავტომობილო ზეთები, შპრიციები, ელემენტები, გამოძწარი აკუმულატორები და ა. შ. ისინი ბუნკერებში ერევა სხვა ნარჩენებს და ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. გამოწვლის სახით მეტალის შემცველ ნაწილებს კერძო პირები განცალკავებით აგროვებენ, თუმცა, გაურკვეველია, შეძლებს სად მიდის ეს ნარჩენები. საყარაულოდ, ხდება მათი ხელახალი გამოყენება.

რაც შეეხება მკვდარ ცხოველებს, მათი განთავსება ხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რადგან დღეისათვის არ არსებობს სხვა გამოსავალი. სამედიცინო ნარჩენების შეგროვება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან ხორციელდება სპეციალური კომპანიების მიერ. მიუხედავად ამისა, სამედიცინო დანიშნულების ზოგიერთი ნივთი მაინც ერევა საყოფაცხოვრებო ნარჩენებში და შესაბამისად ხდება საერთო კონტეინერებში. სახიფათო ნარჩენები მუნიციპალიტეტში, საყარაულოდ, საკმაო რაოდენობით უნდა იყოს, თუმცა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ გვაქვს.

– ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მიხედვით რა არის გათვალისწინებული პრობლემების გადასაჭრელად?

– პირველ ეტაპზე ქუჩების ცენტრალურ ნაწილში დაიდგება რამდენიმე კომპონენტის ბუნკერი – მინის, რკინის, პლასტიკისა და ქაღალდისთვის, რადგან ჩვენს მუნიციპალიტეტში რკინის მეორადი გადამუშავება პრობლემას არ წარმოადგენს, მცირე რაოდენობით გროვდება და ძირითადად, საჯაროებზე მიაქვთ, ამიტომ შეუჯერდით, რომ აქცენტი გაკეთდება პლასტიკისა და ქაღალდის შეგროვებაზე.

2019 წლიდან დაიდგება 50 ურნა სეპარირებული ნარჩენების შეგროვებისათვის. რადგან ჩვენ პატარა მუნიციპალიტეტი ვართ და სეპარირებული კომპონენტების აუცილებელი რაოდენობით შეგროვება ვერ მოხდება, გვჭირდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა. რათა მყიდველი დავაინტერესოთ.

სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას, რადგან დასაზუსტებელია გრეკული საკითხები: მაგალითად, მოსაძიებელია დაფინანსების წყაროები, აგრეთვე, მუნიციპალიტეტი 2018-2020 წლებში განხორციელებს მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების სისტემის შემუშავებასა და ეტაპობრივ განხორციელებას.

როცა ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა ამუშავდება, მიხდება ყველას მოუწოდო, რომ მოუფროსილდეთ ეკოლოგიას, გარემოს. თითოეულ ჩვენგანს უყვარს თავისი ქალაქი, თავისი მუნიციპალიტეტი და მოვიქცეთ ისე, რომ მომავალ თაობებს სუფთა და დაცული სამტრედია დარჩეთ!

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსის” მე-13 მუხლის შესაბამისად იქნა მიღებული. ის ითვალისწინებს, მყარი ნარჩენების კუთხით დაიხვეწოს მდგომარეობა. გამოცდილება კონკრეტულ მომენტში არც ერთ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. ეს გეგმა ევროკავშირთან რატიფიცირების ხელშეკრულების ფარგლებში შეიმუშავდა. მოთხოვნა იყო, რომ გეგმა კონკრეტულად უნდა მოიცავდეს არსებულ სიტუაციას: რა ლოჯისტიკა გვაქვს, რა ფინანსები და რა ძლიერი მხარეები. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ევროკავშირის ექსპერტებმა გაგვიწიეს დახმარება. გამოვიყენეთ ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ე. წ. პრაისი იმის დასადგენად, ერთ სული მოსახლე რამდენ ნარჩენს წარმოქმნის როგორც სოფელში, ისე ქალაქში, მაქსიმალურად მიახლოებული ინფორმაცია ავიღეთ სამოქმედოდ. აქამდე არ გქონდა სტატისტიკური მონაცემები, თუ რა რაოდენობის ნარჩენი იკრებოდა და ერთ სულ მოსახლეზე ხარჯი რამდენი იყო. საჭირო გახდა იმ გზებისა და საშუალებების მოძებნა, რითაც მომავალში ნარჩენების მართვა უნდა მოხდეს.

– კონკრეტულად აქცენტი რაზე კეთდება?

– აუცილებელია ნარჩენების შემცირება. სტრატეგიის შესაბამისად საქართველო ისწრაფის, გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა. მოგვხსენებთ, სამტრედიის ტერი-

ტორიაზე არსებობს ნაგავსაყრელი, რომელიც კეთილმოწყობილი და განახლებულია, რაც “მყარი ნარჩენების მართვის კომპანია” გადგეცა. არა მარტო “სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების” მიერ შეგროვებული ნარჩენები თავსდება იქ, არამედ ამ ნაგავსაყრელით მუშობელი მუნიციპალიტეტებიც სარგებლობენ. მალე ამ ტერიტორიაზე აშენდება გადამტვირთი სადგური, ხოლო ახალი ნაგავსაყრელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში გაიხსნება. იქ კი, როგორც დღეს ხდება, შეუძლებელი იქნება სხვადასხვა კომპონენტის შეტანა. მაგალითად, სამშენებლო მასალის და სხვა. ფინანსურად ჩვეთვის მომგებიანი მენეჯმენტით უნდა შევქმნათ. გარდა იმისა, რომ მცირე რაოდენობით შევიტანოთ ნარჩენებს, უნდა მოხდეს მათი სეპარირებაც. იგივე განცალკავება ცალკეული სახეობის – პლასტიკის, ქაღალდის თუ სხვა კომპონენტის. ამასთან დაკავშირებით რა ნაბიჯებია გადასადგმელი, გეგმა ამას მოიცავს; აღწერს არსებულ მდგომარეობას და იმ პირობებს, როგორაა შესაძლებელი ნარჩენების მართვა უახლოეს 4 წელიწადში.

– რატომ ჭოგნარში? და რამდენად უსაფრთხო იქნება იგი ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

– სხვა სოფელშიც რომ ყოფილიყო, მაშინაც დაისმებოდა კითხვა: რატომ ის სოფელი? ცხადია, მოსახლეობას სჭირდება გარანტიები, თუ რა დონის მენეჯმენტი იქნება, არ იქნება სუნი და ა. შ. როგორც აღვნიშნე, ჩვენთან გადამტვირთი სადგური აშენდება. ჭოგნარის ნაგავსაყ-

რელი კი ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი იქნება. ძვირადღირებული პროექტია, დაახლოებით, 20-22 მილიონი ჯდება. მასზე განთავსდება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მყარი ნარჩენები. 2019 წლისთვისაა ნაგარაუდები ამ ნაგავსაყრელის გახსნა. საქმეში ჩართულია ევროკავშირის ექსპერტები. შესაბამისი კომპეტენტური პირები აწარმოებენ მოლაპარაკებას მოსახლეობასთან, რომელიც დასრულების სტადიაშია. როცა ეს ნაგავსაყრელი გაიხსნება, ჩვენ მას მომზადებული უნდა შევხვდეთ. მომზადება იმიტომ გვჭირდება, რომ იქ შეტანილ ტონობით ნარჩენზე გადასახადი დაგვეკისრება. ამიტომ უნდა შევამძირეთ ნარჩენების რაოდენობა, რათა ნაკლები გადასახადი გვექმნეს.

– სტიქიურ ნაგავსაყრელებზე რას გვეტყვი, რა პრევენციული ღონისძიებები იგეგმება მათ აღსაკვეთად და გატარდება თუ არა სანქციები კანონის დამრღვევთა მიმართ?

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 20 სტიქიური ნაგავსაყრელი, აქედან 9 არალეგალური ნაგავსაყრელი ქალაქის, ხოლო 11 სოფლების ტერიტორიაზე. ქალაქში არსებული 9 სტიქიური ნაგავსაყრელიდან 2 ნაგავსაყრელი არის საკმაოდ მოცულობითი და მათზე, ძირითადად, ინერტული ნარჩენები განთავსებული. სხვა ნაგავსაყრელები გაცილებით მცირე მოცულობისაა და ვხვდებით ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურება არ ხდება. სტიქიურ ნა-



დახ, ვართ ჩვენ ბედნიერი ერი, მხოლოდ გვახსოვდეს:

“ქართული ხალხის” მითიური, ცოცხალი არსიდან მომდინარეობს ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში სიტყვა “ხალხი” ადამიანთა სახეობაა, რომელიც ძველთაძველი ცნებისგან – “მარადი ადამიანისაგან” წარმოიშვა.

“ეს იქნებოდა “კოლექტიური კაცი”, – წერდა იუნგი, – “ეს კოლექტიური კაცი სხვა არა არის რა, თუ არა ის, რაც ქართულ ენას ერთ სიტყვაში – “ადამიანში” ჩამოუსხამს, რომელსაც თავის თავში აქვს “ადამი” (გრ. რობაქიძე). ამიტომ ხალხისა და ინდივიდის პარამონიული თუ ტრადიციული ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენი ერის განვითარებასა თუ მხელბედობას.

ჰეგელის თქმით კი, “ადამიანის ტვინის გონებრივი შესაძლებლობები თავის აბსოლუტურად აღწევს კავკასიურ გენში”. ამიტომაც ქართული გენი რწმუნითა და ინტუიციური უნარებით მუდამ გამოირჩეოდა.

რაც შეეხება დიდ იოანე ზოსიმეს, იგი წერდა: “ყოველი საიდუმლო ქართულ ენაში არს დამარხულ და ყოველივე ქართულ ენაზე განვითარების”. ამიტომ, მართალია, ჩვენი ქვეყანა ხშირად იყო დაპყრობილ-დაყოფილი, მაგრამ მართლმადიდებლობისა და ქართული ენის დასაცავად ორგანიზებული, ინტეგრირებული და ერთიანი კავშირების მქონეც.

ისიც აუცილებლად უნდა გვახსოვდეს: ჩვენ ქვეყანას თავის ეკონომიკურ წესწესობაშიც, ინტუიციურად, არჩეული ჰქონდა მოწესრიგებული ორგანიზაციის მიმდინარეობა – “ერთი სამსოფლო, ანუ საერთო-სახალხო (სახანძრო მმართველობა) და მეორე – საკომლო, ანუ კერძო მფლობელობის მეურნეობა და წარმოება”. ხოლო, როცა ფეხი აიღვა “გა-

# ჩვენ ბედნიერი ერი ვართ!

ნკერძობამ” და ამ მოწესრიგებულ ურთიერთობებს შორის წინასწორობა და ირღვა, ჩვენი მერმინდელი დასუსტების ძირითად მიზეზად სწორედ ეს გარემოება მიმაჩნიაო, წერდა დიდი ილია ჭავჭავაძე (ნურგინ იტყვის ეშლებოდრო ეს დიდ ილიას! რადგან მთელი საუკუნის გასვლის შემდეგ დადასტურდა პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსებმა ინტეგრირებული სოციალისტურ-კაპიტალისტური პოლიტიკური წყობის სიკეთე და აუცილებლობა). ამიტომაცაა, რომ ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ინდექსი, კარგა ხანია, მნიშვნელოვნად უსწრებს აშშ-ის ეკონომიკური განვითარების ინდექსს.

ჩვენს ქვეყანას, დიხაჯ, გააჩნდა სახელმწიფოსთვის აუცილებელი ყველა მახასიათებელი, რაც მას საშუალებას აძლევდა, გაეძლო, შებრძოლებოდა, გაემარჯვა და, ზოგჯერ, შეგუებოდა რომაელებს, თურქებს, ბერძნებს, არაბებს, მრავალ სხვას და რუსებს, დღეს კი – ამერიკელებს. და დასავლეთს. თანაც ისე, რომ თავისი ინდივიდუალობა, ჯერჯერობით (მხოლოდ ჯერჯერობით) არ დაუკარგავს!

რაც შეეხება ამერიკელებსა და დასავლეთს, ისინი დღეს გაცილებით მეტი “წინადახედულობით” მოქმედებენ. დიდი ინვესტიციების ჩადებით იმაზე მეტ მოგებას ნახულობენ, ვიდრე ქვეყნის პირდაპირი დაპყრობით იყო შესაძლებელი (პო, ომს გაცილებით დიდი ხარჯი სჭირდება).

ისიცაა, ჩვენ ასეთი აღფრთოვანებული არასოდეს ვყოფილავართ ჩვენი დონორი ქვეყნის მიმართ. დღითიდღე, სას-

იცოცხლო ინტერესების დაცვისას ასეთი აღფრთოვანებით არასდროს დაგვიტომა ჩვენი საკუთარი მორალური თუ რელიგიური პრინციპები. ამავე დროს, მუდამ გვახსოვდა, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელიც ზესახელმწიფო ქვეყნების ინტერესის საგანს მუდამ წარმოადგენდა, ხშირად იძულებული იყო ამ ზესახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესსა და მათ შორის ურთიერთობისას მორჩენილ ხუნდას დასჯერებოდა მხოლოდ. ამითაც თავს ინარჩუნებდა, რადგან ამ “ხუნდის” სწორი არჩევის დიდი უნარიც ჰქონდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმ ცნობილი წინასწარმეტყველებისა, რომელიც ქართული გონის დიდ შესაძლებლობაზე გვაუწყებს, მსოფლიოს დიდ მეცნიერთა კომპორტაში ქართული გვარები ნაკლებად ფიგურირებს – არა გვყავს არც ერთი ნობელის პრემიის ლაურეატი, ხოლო, წარმატებული ქართველი მეცნიერები საქართველოში, დღეს განსაკუთრებით, იშვიათად მოღვაწიობენ. ეს ფაქტი, ცხადია, უარყოფითად აისახება ერის მომავალზე. აღნიშნულით კიდევ ერთხელ მტკიცდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალურ ფორმასა და ნებსა საზოგადოების უკეთ რეალისტიკურ და განვითარების თვალსაზრისით. დაახ, სუსტ ქვეყანას ძლიერი ადამიანის პატრონობა უჭირს, რადგან, რომ უპატრონოს, მუდამ სხვა ქვეყნის ინტერესების დაცვა არ უნდა უხდებოდეს!

– სწორედ, აქ იკვეთება ერთმანეთთან ადამიანისა და ქვეყნის შესაძლებლობები და მოთხოვნის დაცვა. ასევე, მემ-

არცხენე და მემარჯვენე პლატფორმების ინტერესები!

– პოდა, ასეთი შემთხვევები ცხადყოფს მემარცხენე პლატფორმის უპირატესობას, რომელიც წინა პლანზე ქვეყნის ინტერესებს განიხილავს და შემდეგ კერძო ინდივიდისას. თუ ქვეყანა ძლიერი არ იქნა, ვერც ადამიანები იქნებიან სათანადოდ ქმედითუნარიანნი.

90-იანი წლებიდან მემარჯვენე ორიენტაციით მოვდივართ და, რა მივიღეთ? – სუსტი სახელმწიფო, უზარმაზარი ვალით, უშუშეკარტა არმით და მცირერიცხოვანი მდიდარი ადამიანებით, რომლებსაც უკმარისი სიდიდითაა სთავის საჭირო გარემოს შექმნა, რადგან მათი ინტერესები უკვე ქვეყნის ინტერესებს მიღმა განიხილება.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანმა უკვე შექმნა ისეთი ტექნოლოგიები, რის საშუალებითაც შეუძლია ღილაკზე თითის ერთი დაჭერით დედა-იფას გლობალური სამიშროება შეუქმნას! ამიტომ დღეს მსოფლიოში ყველაზე მაღალ ტონად ინტეგრირებული პოლიტიკური სისტემების შექმნა ითვლება. დაახ, დადა დრო, როცა შესაძლებელია და თან აუცილებელიც, პოლიტიკურ პლატფორმათა ძირითადი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს. სხვაგვარად ვერც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაიძლევა!

დაახ, სამყაროს არასდროს დამუქრება ადამიანის ხელით ისეთი სამშრობა, როგორც დღეს, ასეთ თავბრუდამხვევ დინამიკაში. ამიტომ მემარჯვენეების ინტერესი, კერძოდ, ბინჯის კონკურენტუნარიანი ტემპით განვითარება პი-

რადიპროპორციულადაა დამოკიდებული გასაღების ბაზარზე, ანუ სხვა სოციალური ფენების ძლიერ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ე. ი. მემარცხენეების პლატფორმის ინტერესების დაკმაყოფილებაზე. თუმცა, მემარცხენეებს ებრძვიან, აქრობენ ბრევივისნარი “მონადირეები”. ბრევივიებს კი დასავლური, მონონებელი კანონებით გულმოდგინედ პატრონობენ. არადა, თუ ადამიანის ინდივიდუალური ინტერესები ეწინააღმდეგება, ზოგადად, სოციალური ფენების თანარსებობას, საფრთხე, პირველ რიგში, თავადაც დაემუქრება. რადგან “გახდა რა ადამიანი არაბუნებრივი, სიცოცხლისთვის საშიში რისკის ფაქტორის შემქმნელი, თავადაც აღმოჩნდა ამ მოქმედების ეპიცენტრში”. იმისათვის, რომ ის იყოს ბუნებრივი, საჭიროა მისი ცნობიერების გამთლიანება. დაახ, ადამიანის “შე”, რომელიც ფიქსირებულია “ეკონომიკაში”, მისი ბუნების მხოლოდ მცირედი ნაწილია. ხოლო, ძირითადი ნაწილი სამყაროსა და სოციალური მთლიანობის შემადგენლობაში აისახება.

ამ მოსაზრების ბუნებრიობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ავტოპერსონალური ფაქტები ყველაზე ზედნაშენი მოვლენა ჩვენს ცნობიერებაში. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს: რაც უფრო დიდა ადამიანის თვალსაწიერით შემოსაზღვრული ვრე, მით უფრო მეტია ამ წრის შეხების ზედაპირი ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროსთან და მეტია წინააღმდეგობაც მისგან.

რადგან ყოველივე ეს ჩვენ ქართველებმა უკვე დიდი ხანია ვიცით, ამიტომ შეგვიძლია ვიყოთ ბედნიერი ერი, მხოლოდ ეს ყველაფერი უნდა გვახსოვდეს და უნდა ვითვალისწინებდეთ!

**მ. სასაგაძო**  
**მ. კახიანი**  
**მ. მელიქიძე**  
**მ. მელიქიძე**

## “ბიბლიის გახვეთილებს” მსმენელი ახსოვს აჯიო

### ნათია ნაცვლიძე

“ბიბლიის გახვეთილები” მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში უკვე მესამე წელია, მიმდინარეობს. წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ანტონი (ვაშაყიძე) ქრისტიანულ რწმუნასა და სიყვარულზე ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს გვესაუბრება. მოძღვრის სიტყვის მოსასმენად ამ სივრცეს ბევრი ადამიანი სტუმრობს. სტუმრობენ როგორც ახალი, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლები. მსმენელებს შეუძლიათ გულწრფელად დასვანისათვის ნაულებად იცლის, ბუნებრივად, მოძღვრის სიტყვა ძალიან ფასობს. მსგავსი საუბრები საკუთარ თავში ჩაღრმავების, შეცდომებზე დაფიქრების, გეგმების და რწმუნის განმტკიცებაში გვეხმარება. ბიბლიის გახვეთილებს მსმენელი არასოდეს აკლია.

გასულ კვირას კვლავ შევირბა და ინტერესებული პუბლიკა. ამონარიდი მოძღვრის ლექციიდან: “პატრიოტიზმი ნიშნავს არა მხოლოდ იმ გეოგრაფიული ადგილის პატივისცემას, რომელსაც საქართველო ჰქვია, არამედ პატრიოტიზმა ჰქვია იმ ერის, იმ საზოგადოების დაფასება და პატივისცემა და მამულომეორეული წვლილის მიტანას იმ ადამიანებამდე, რა არეალშიც ყოფნა გიხდება. შენ შენი სიტყვა უნდა თქვა, ახალი კულტურა

შექმნა, გაეცნო ტრადიციულ წარსულს და მას რაღაც დამატებ, ფასეული, ღირებული, აქსიოლოგიური, და შენი სიტყვა იმდენად ექოს მომკვრელი იყ-

ოს, ყველა თაობას ანტერესებდეს, არ შეიძლება გამორიცხვა რომელიმე თაობისა, არ შეიძლება გაუცხოება. პირიქით. მშრალი ინტელექტუალიზმის პრობლემა სწორედ ის არის, რომ მარტო წაითხული და მიღებული ინფორმაციით ვურთიერთობთ ხალხთან, და ამ ინტელექტუალიზმს თან უნდა ახლდეს სულიერება, რას ნიშნავს სულიერება? ეს ბოლომდე განუმარტავი ცნებაა საზოგადოებრივი დისციპლინაში, მაგრამ სულიერება ინტელექტუალიზმზე უფრო მაღალი ინსტანციაა. თუ ინტელექტუალიზმი ნიშნავს შენი გონებით, შემეცნებით უნარებში ინფორმაციის გადმოტანას, სულიერება ნიშნავს ამ ინფორმაციის გადახარშვას და სწორი მიმართულებით წარმართვას ადამიანებამდე, თუ ინტელექტუალიზმი ნიშნავს მარტო გონებით აპ-

ელიერებას, სულიერება ნიშნავს გონებისა და გულის შერწყმას და ამ ორი უმთავრესი შემეცნებითი ორგანოსგან მიღებული ინფორმაციებით ადამიანებამდე მისვლას. შესანიშნავად ამბობს ალექსეი ლოსევი: “გული – ეს არის სიმბოლო ღვთის მსგავსი ცხოვრებისა და სიცოცხლისა. ეს გულითადი დამოკიდებულება გვაკლია ერთმანეთისადმი, უფრო მეტად რაღაცას მოვისმენთ, წავივითხავთ და ინტელექტუალობას ვითამაშებთ ერთმანეთს, პრობლემებს ვსვამთ, მაგრამ გამოსავლისკენ არ მივდივართ. აი ეს სულიერების კრიზისია”....

ანალოგიური გახვეთილები რამდენიმე მუშობელ მუნიციპალიტეტში ტარდება და ზოგ მუნიციპალიტეტში ლოკაცია ბიბლიოთეკაა.



### ბალერა

## მასწავლებელთა მასწავლებელი

### ლევან გაგაჩინაძე

სათაურად გამოტანილი სიტყვები ზედგამოჭრილია კაცზე, ვისზეც ამჯერად ვწერთ.

სამტრედიის ულამაზეს სოფელ ტოლუბში დაიბადა ბატონი ჭოლა თევზაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდა ქართველ პედაგოგთა მთავარ სამჭედლოში – ყოფილ პეშინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სხვადასხვა წლებში გახლდათ კათედრის გამგე, ფაკულტეტის დე-


კანი, ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში. ფასდაუდებელია წვლილი, პროფესორ ჭოლა თევზაძეს რომ მიუძღვის ძველი ქართული ენის თავისებურებათა კვლევის, მეცნიერული ანალიზის სფეროში, იგი გახლდათ აგრეთვე რედაქტორი აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურაძის, კორნელი კეკელიძის, ზურაბ სარჯველაძისა და სხვათა მნიშვნელოვანი ნაშრომებისა, რომლებზეც აღინარაღნენ და იბრუნებოდნენ თაობები.

თანამედროვენი ხაზს უსვამენ ბატონი ჭოლას განსწავლულობას, ობიექტურობას, ჰუმანურობასა და საოცარ უბრალოებას – სისადავეს. ხშირად ჩამოდიოდა სოფელში, ბევრი კეთილი საქმე აქვს ტოლუბსა და ტოლუბელთათვის ნაკეთები, მაგალითად, მისი მონღომებითა და აუ-

ტორიტეტით გაკეთდა პირველად სოფელში მისასვლელი გზა. “კაცობის, ადამიანობის ეტალონი იყო ის და მთელი მისი ოჯახი, რომელთანაც ჩემს ოჯახს ნათელი მირონი აკავშირებდა”. – გვეუბნება ტოლუბის სამუსიკო სკოლის დირექტორი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ბატონი იური შანიძე.

ძნელია, საქართველოს მთა-ბარში, ამერ-იმერში ნახოთ სკოლა, სადაც არ მოღვაწეობენ ბატონი ჭოლას ყოფილი სტუდენტები, თბილ მოგონებებზე რომ შემოიჭრა თითოეულის მეხსიერება ინსტიტუტის ღამაში წლები და ურთიერთობა პროფესორ ჭოლა თევზაძესთან.

82 წლისა გარდაიცვალა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, უამრავი ჯილდოს მფლობელი პროფესორი, რო-



მლის ნათელ ხსოვნასაც არასოდეს დაჩრდილავს ბინდი დაეწყებისა. 90 წლისა გახდებოდა ამ დღეებში პროფესორი ჭოლა თევზაძე. მისასალმებელი იქნება, თუ შშობლიურ სოფელ ტოლუბში მაინც სათანადოდ აღნიშნავენ ღირსეული კაცის იუბილეს.



# „სამტრედიის მაცნე“ ღირსეულობის მეთოდური სავალო სერიამ უმჯობესა

ნათია ნაცვლიძე

**შპს „სამტრედიის მაცნე“ დირექტორი, ბეჟან გოგია მეთოდურ სავალო სერიის მეთოდოლოგიის ერთი ეტაპის განხორციელებაში მთავარი პერსონა გახლდათ. დაწესებითი კლასების მეტადეობა, ნაირა ქორიძე და მისმა მოსწავლეებმა ბეჟან გოგიას შეხვედრა მოუწყვეს. – არ დაინახია სერიო, თქვენ რომ არ გამოგვედინათ თქვენი შესაძლებლობები, ცნობილ ადამიანებს შეხვედრებს ვუწყებთ და დღეს თქვენგან გვეზღვი ბეჟანის საინტერესო რამ შევითქვითო, უთხრეს მასპინძლებმა სტუმარს.**

კაბერ-თაობის ინტერესები ფართოა, მათი შესაძლებლობები – ამოუწურავი, ამ ციკლს გოგო-ბიჭებმა, ხვალის საქართველო რომ უნდა გადაიბარონ, ძალზე ბევრი რამ იციან. ვიდრე შეხვედრას გამართავდნენ, პედაგოგთან ერთად „სამტრედიის მაცნეში“ ეწვივნენ ბეჟან გოგიას, მისი სამუშაო თაზი დათვალიერეს და მალე სკოლაშიც დაბრუნდნენ. მხვილგონიერული შეკითხვებით მოიწონეს თავი პატარებმა. ისინი ანსამბლ „ლადის“ შექმნის ისტორიით დაინტერესდნენ და ამ ანსამბლის მიერ რეკორდულად მცირე დროში მოპოვებული დიდი წარმატებებით. მათ, პედაგოგის წყალობით, კარგად შეესწავლათ სტუმრის მიერ გავლილი გზა. ბეჟან გოგიას, როგორც კარიკატურისტის, მშენებლის, მოჭადრაკის, გიტარისტის, ქალაქის პირველი მერისა და საკრებულოს პირველი თავმჯდომარის შესახებ ბევრი რამ მოისმინეს და გაიგეს.

ბატონმა ბეჟანმა გაიხსენა, თუ როგორ დაიწყო გიტარაზე დაკვრა მე-7 კლასიდან, სკოლა და ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა, რომ 18 წლისა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ამერიკულ ჯგუფთან „The Singer“ ერთად უკრავდა, უკრავდა ანსამბლ „ცისარტყელაში“, სადაც მკაცრო თამაზ ღუნდუასთან მოუწია თანამშრომლობა. ანსამბლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გასტროლები ჰქონდათ ბულგარეთში, გაიხსენა ასევე, როგორ შექმნა ნიჭიერი ახალგაზრდებისაგან ანსამბლი „ლადი“ (სამი წევრი მარი ტორონჯაძე, მარი ბარბაქაძე და მარი თევზაძე მეთოდურ სავალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ). ანსამბლი ევროპის საერთაშორისო ფესტივალზე, ქალაქ პრაღაში, რომელშიც 32 ქვეყანა მონაწილეობდა ფე-

სტივალ-კონკურსის გამარჯვებული გახდა. 5 თასიდან სამი ჩვენს ქალაქში ჩამოვიტანეთო, ბრძანა ბატონმა ბეჟანმა და ის კურიოზიც გაიხსენა, ბერლინის მთავარ ქუჩაზე მდებარე, პიტლერისდრინდელ 800 კაციან საკონცერტო დარბაზში, სადაც ბევრი რუსი ებრაელი ესწრებოდა კონცერტს, როგორ გააპროტესტეს გერმანელებმა „ლადის“ მიერ შესრულებული „ჰავანაგაია“. – 80 წელია, ამ შუა ბერლინში ამ სიმღერის შესრულება ვერავინ გაბედა და ფიურერი ცოცხალი რომ იყოს, საკონცერტაციო ბანაკში გამოგამწვევდეთო, თქვენ ჩვენსა და ებრაელებს შორის მეგობრობის ხიდი გასდეთო, უთქვამს დარბაზის ადმინისტრატორს „ლადის“ წევრებისთვის. ბეჟან გოგიას მსოფლიო კულტურის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, ევროპის საუკეთესო ფოლკლორის პედაგოგის ტიტული მიანიჭა. „ლადი“ ბაქოში გამარ-



თულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში „ნოვრუბ-ბაირამზე“, ბაქო – 2016-ის გამარჯვებული და გრან-პრის მფლობელი გახდა. სულ ახლახან კი, ჩეხეთში გამართულ ევროპის საერთაშორისო ფესტივალზე თავის დროზე თამაზ ღუნდუას მიერ დაარსებული სამტრედიის ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელი ანა აბზიანიძე) ამ ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

ნაირა ქორიძის მოსწავლეები, მართალია, ჯერ პატარები არიან, მაგრამ მიღწეულ წარმატებებზე უკვე შეუძლიათ საუბარი. მათემატიკის მოყვარული ბიჭუნა, მათე ჭკადუა, რომელმაც ახლახან ოლიმპიადა „ევერესტის“ გამარჯვებული გახდა, დაინტერესდა, უკვარდა თუ არა მათემატიკა ბეჟან გოგიას. –

ჩემი ნახატი, რომლითაც ხატვის კონკურსში გავიმარჯვე, მინსკში გაიგზავნაო, გვახარა თემო კოპაძემ და ბეჟან გოგიას ხატვით გატაცების შესახებ ჰკითხა. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრობის კანდიდატი გახლავართ, სამშენებლო სამმართველოს უფროსი გახლდეთო, სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნაინგთან“ რომ ვთანამშრომლობდი და დისიდენტური შინაარსის კარიკატურებით ვამარაგებდი, არ ყოფილა შემთხვევა, უშტატო ახალგაზრდა კოლეგისთვის მთელი გვერდი დეთმითო, ჩემს კარიკატურებს გვერდები ეთმობოდაო, – განაცხადა ბეჟან გოგიამ და უდიდეს პიროვნებებთან, ნოდარ დუმბაძესთან და ზაურ ბოლქვაძესთან ურთიერთობების წლებიც გაიხსენა. ისიც დასძინა, სამტრედ-

ის გერბის და დროშის ავტორიც რომ არის. – „სამტრედიის მაცნეში“ ჩემი ბებოს და ბაბუს შესახებ ბევრი დაწერილა, დედასთან ინტერვიუც დაიბეჭდა, იქნებ გავაცნოთ განუთი, რომელსაც დირექტორობით, მიმართა თამარ ბარამიძემ, ნაირა ქორიძის შვილიშვილმა სტუმარს. „1930 წელს დაარსდა „სამტრედიის მაცნე“, მას ჯერ „სოციალისტური შეტევა“ ერქვა, შემდეგ – „წინსვლა“. უკვე ათი წელია, „შპს სამტრედიის მაცნე“ დირექტორი გახლავართ, აქ ინახება უნიკალური ფოტო-არქივი, „სამტრედიის მაცნე“ ზედინედ ოთხჯერ გახდა იმერეთის მასშტაბით დარგის ლიდერი საწარმო და დაჯილდოვდა ორდენით – „ეკონომიური ვარსკვლავი“. – აუხსნა პატარებს მოწვეულმა სტუმარ-

მა. შეხვედრის ბოლოს სკოლის დირექტორმა, ლენა ხაჯალიამ ბეჟან გოგიას მიმართა: „ბატონო ბეჟან, დარჩა კი რომელიმე დარგი, თქვენი სიტყვა რომ არ გეთქვათ? მართლაც რამდენი რამ ვიცოდი თქვენს შესახებ, მაგრამ დღეს კიდევ ბევრი რამ გავიგე, ვამაყობ, რომ სამტრედიის გვეყავს ასეთი უნიკალური ადამიანი“. ბეჟან გოგიამ დირექტორს, მოსწავლეებს და პედაგოგს მადლობა გადაუხადა თბილი დახვედრისათვის, „სამტრედიის მაცნეს“ ბოლო ნომრები გადასცა და მის მიერ შესრულებული სამტრედიის გერბის ფოტოასლიც უსახსოვრა.

## სამტრედიის მატთან

ლევან გაბაჩიაძე

### ყვითლი საქმე

რა დროსაც უნდა მიხვიდეთ, სულ საქმიანი ფუსფუსია.

ასე იყო 2 თებერვალსაც. ნაშუადღევს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელში განთავსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შევიარე ტაძრიდან გამოსულმა. მუზეუმის ხელმძღვანელი ქალბატონი გულიკო ცინცაძე თანამშრომლებთან ერთად ახლაც ქალაქში იყო ჩაფლული.

წურნალის ახალი ნომერი მივიღეთო, სიხარულით მითხრა ქალბატონმა გულიკომ. საუბარი „სამტრედიის მატთან“ შეეხებოდა, ამჯერად მეორე ნომერი გამოვიდა, რომელსაც სულმოუთქმელად თუ არა, ინტერესით ნამდვილად ელოდა გონიერი მკითხველი.

შეგახსენებთ: მთავარი რედაქტორი ბატონი ჯონი ნადირაძე, რედაქტორი ქალბატონი გულიკო ცინცაძე, მეცნიერ-კონსულტანტი. პროფესორი, ბატონი ედიშერ გვერდუაძე გახლავან.

წურნალი გამოიცა ქართველი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის მკვიდრის, ბატონი მერაბ თევზაძის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ და ვუსურვებთ ღვთის შეწევნას ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთო

ყველა წამოწყების განხორციელებაში“. – კეთილშობილთა მთავარი რედაქტორის მეთაურ წერილობით.

უსხად ილუსტრირებული წურნალი წერილთა სიუხვითაც გამოირჩევა. მასში წარმოდგენილია ჯონი ნადირაძის, ტატა გოგუაძის, ნათელა ბრეგაძის, ვაჟა თვალავაძის, მარიამ მარჯანიშვილის, ალექსანდრე ლეჟავას, ჯუმბერ ივანიძის, გენადი მიქაძის, ლევან პაპავას, რეჟან ჩხაიძის, გიორგი ტონიას, ნათელა გელეიშვილის, ლევან გაბეჩავას წერილები, საინტერესოდ იკითხება თითოეული მათგანი.

წურნალში იხილავთ აგრეთვე სამზოვად უკვე წასული ღირსეული სამტრედიელების, ვალერიანე ბიბილაშვილის, სულიკო ნინუას, ალექსანდრე (ალიოშა) ერქვანიძის წერილებს.

ვიმელოვნებთ, წურნალი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, აბიტურიენტებს და არა მარტო მათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად არ ვთვლი თავს მუზეუმში, მასპინძლობის წესი არ დარღვია და მაკა ქუთათელაძე საექსპონიციო დარბაზში შემიძღვა. ეს კარადები ბატონმა ჯონი

ნადირაძემ ამ დღეებში გადმოგვცაო, – გვეუბნება იგი. ერთ-ერთი დაბა კულაშის ყოფილი ბროლის ქარხნის მიერ წარმოებული ბროლია წარმოდგენილი, მეორეში კი, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს სახალხო არტისტის, ეროსი მანჯგალაძის ის ფორმა, რომელიც მსახიობს გვაძი ბიგვას ბროლის შესრულებისას ეცვა და რომელიც ერთ-ერთი ძვირფასია, მუზეუმში გამოფენილ თუ არსებულ ექსპონატთა შორის.

სამომავლო გეგმებსა და ამოცანებზე მოვრძალებით, თუმცა საოცარი მონდომებით გვესაუბრება ქალბატონი გულიკო ცინცაძე. წურნალის განხილვა (პრეზენტაცია) გვინდა მოვაწყოთო, გვეუბნება იგი, ახალ დაგეგმვასაც მამულევს, იქნება ამა და ამ ექსპონატზე მივიწვლება ხელიო. ამასობაში ქალბატონი ელიკო ანკვაბი შემოგვიერთდა, არა მარტო დაგვეთანხმა, როცა მონდომება, გარჯა შეგუქმე მუზეუმის თანამშრომლებს, ქალბატონ გულიკოს, არამედ მოხდენილად მაუწყა, რომ სულ რაღაც ორ თვეში ქალბატონი გულიკო იუბილარია, მრგვალი თარიღი უსრულდებაო და... არ იქნება ურიგო, პირიქით, აუცილებელია, თუ ეს თარიღი ღირსეულად აღინიშნება. კეისარს კეისრისა უნდა მივგოს.



სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეი



# წიგნის საჯაროდ კითხვის დღე – საყურადღებო ამც-თქმანია

ნათია ნაცვლიძე

“წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე” მსოფლიოში ცნობილი ღონისძიება და მას ყოველწლიურად 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ, ღონისძიებაში მონაწილეობა რაოდენობა 31 მილიონამდე აღწევს.

“საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიზანია, შეუერთდეს ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი, საქართველო და მისი ქალაქები მოხსენიებული იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების გვერდით. ჩაერთოს ბევრი ადამიანი და ვეითხოს წიგნი მსოფლიოსთან ერთად.” – ნათქვამია საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის განცხადებაში.

ასოციაციის ორგანიზებით, საქართველოში კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებით დატვირთული “წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე” გაიმართა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა უკვე მესამედ შეუერთდა ამ თარიღისადმი მიძღვნილ ძალზე საინტერესო ღონისძიებას. წლეულსაც, ტრადიციულად, ამ დღეს სამკითხველო დარბაზში რამდენიმე ეპოქის სულისკვეთება გაერთიანდა, ერთმანეთს ლამაზად შეერწყა ნაწევრები კლასიკური ნაწარმოებებიდან და თანამედროვე ბესტსელერებიდან. ბიბლიოთეკის კამერული სივრცე ერთნაირად დაიპყრო გოგლას “ციცილის პაემანმა” და პასაჟებმა ბულგაკოვის “ოსტატი და მარგარიტა-დან”, აუდიტორიის უმრავლესობას, საბედნიეროდ და ჩვენდა გასახარად, ახალგაზრდები შეადგენდნენ. ისინი სამტრედიის სხ-



ვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები იყვნენ. მათ წაიკითხეს ნაწევრები როგორც კლასიკოსი მწერლების რომანებიდან, ისე ქართველ პოეტთა პოეტური მარგალიტები.

ღონისძიება ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა ლუნდუამ, გახსნა, შეკრებილთ ეს დღე მიულოცა და გამოხსევადეს. მათ წაიკითხეს ნაწევრები როგორც კლასიკოსი მწერლების რომანებიდან, ისე ქართველ პოეტთა პოეტური მარგალიტები.



ლალებს აქტიურობისაკენ მოუწოდა. ასაკობრივი ბალანსი შესანიშნავად იქნა დაცული, ყველა ასაკის ადამიანმა გამოხ-

ტა პატივისცემა ლიტერატურისადმი, სიყვარული წიგნისადმი. წმინდა და ვითაც აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე) ერთ-ერთი ცნობილი ავტორის ციტატა შეახსენა შეკრებილთ: “წაიკითხე წიგნები, დახურე მერე ეს წიგნები და თვითონ გახდი წასაკითხი”. საჯაროდ კითხვაში მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკის დირექტორის

მოადგილემ, მსახიობმა მზია ჩიხლაძემ, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნინო ტონიამ, ჩვენმა კოლეგამ, ლევან გაბეჩავამ, მკითხველმა მაყვალა ბოჭუჩავამ და სხვებმა.

## 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

ნათია ნაცვლიძე

8 თებერვალს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა მოსწავლეთა 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მეორე ეტაპი. პირველი ეტაპი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაიმართა.

წლეუანდელი სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლისთავს ეძღვნება.

კონფერენციის მე-2 ეტაპში მონაწილეობდნენ სამტრედიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, მე-8 და მე-12 კლასების ჩათვლით.

კონფერენციის მე-2 ეტაპის ჩატარებას ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (დირექტორი ტატა გოგუაძე) საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად, მოსწავლეთა ნაშრომები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სექციაში. მოსწავლეებმა შესაბამისი კომისიების წინაშე თავიანთი ნაშრომების პრეზენტაცია გაართქნა, უპასუხეს ჟიურის მიერ დასმულ შეკითხვებს.

მე-2 დასკვნით ტურში, რომელშიც 10 მოსწავლე მონაწილეობდა, გამოვლინდნენ მე-3 ეტაპში გადამსვლელი მოსწავლეები. მესამე დასკვნით ეტაპი ქუ-

თაისში 11 მარტს ჩატარდება.

“სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მსვლელობას შეფასება მისცა: “ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობას მსგავსი კონფერენციების მუშაობაში. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი აზროვნებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების უნარების განვითარებას. მაღლობა მინდა, ვუთხრა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს კონფერენციების ტრადიციულად ორგანიზებისთვის. ამავე დროს იმ სკოლის ხელმძღვანელებს, რომელთა მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნამუშევრები. სინანულით აღვნიშნავ, რომ წელს ძალიან ნაკლებია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც საკონფერენციო თემები მო-

ამზადეს. ჩემი აზრით, მოსწავლეთა და მოსწავლეებელთა შორის მოტივაციის ამაღლებისათვის კარგი იქნებოდა, გათვალისწინებული ყოფილიყო კრედიტქულების მინიჭება, რაც პედაგოგებს კი-



დეე უფრო მეტად დააინტერესებდა. მე-2 ტურში წარმოდგენილი ნაშრომები საინტერესოა, გამოირჩევა ავტორთა მიერ აზრის ორიგინალურად წარმოჩენილი და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის აუცილებელი კომპონენტებით”.

ტატა გოგუაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი: “რეალურ კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა 8 თებერვალს და მიმდინარეობს წმინდა და ვითაც აღმაშენებლის ხსენების დღეს, მონაწილეობა მიიღო 8 სექციაში



(მათემატიკა, ქართული, ისტორია-მხარეთმცოდნეობა, ფილოლოგია, ბიოლოგია, ხელოვნება, ფიზიკა, გეოგრაფია). კონფერენციაში მონაწილეობდა 10 მოსწავლე. მოწვეული გვევლინენ კომისიის წევრები და საჯარო სკოლების პედაგოგები და რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე. გა-

გზავნილ იქნა ქუთაისში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ზონალურ 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდება 11 მარტს. გულსატკენია, რომ ნაკლებია საჯარო სკოლებიდან ჩართულობა და ყოველწლიურად მცირდება მონაწილეთა და თემების რაოდენობა”.



# “არასდროს გვაპინჯავა, რომ ჩართვილი ვართ!”

## ამთბიანი ჭიჭიკი

ლუკა პირველად, ლიზი კი უკვე მეორედ ესტუმრა იმერეთში მამიდას. ისინი ენგურის ვაღმა საქართველოდან ჩამოვიდნენ. ბავშვურ სილაღესთან ერთად შინ დაჩრჩინილების მონატრება თან ჩამოიტანეს. ხიღის აქვითა ამბების აქტუალობას წლები ვერაფერს აუტყვებს. ეს პატარა დაძმაც თავისი სოფლის, საბურთის შესახებ გვიყვება.

ომი არასდროს უნახავთ, თუმცა, მათ სოფელშიც ბევრი ნაომარი სახლი, ისეთებიც, ქართველების განდევნის შემდეგ აფხაზებმა რომ დასაკურთხეს. ბაბუა, რუბენ ჯინჯოლია, ხშირად უყვებოდა ლუკას ქართულ-აფხაზურ სისხლიან დაპირისპირებაზე. ახლა ბაბუა ცოცხალი აღარ არის, ამბობს. ამჯერად შობილები არ ავიწყებენ, რომ ის ადგილი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, საქართველოა.

ლუკა და ლიზი საბურთის საშუალო სკოლაში საგნებს რუსულ ენაზე უეულებიან. ლიზი მესამე კლასშია და კვირაში სამჯერ აქვს ქართულის გაკვეთილი, მეშვიდეკლასელ ლუკას კი – მხოლოდ ერთხელ. ისტორიის გაკვეთილებზეც აფხაზებისა და რუსების ისტორიის შეისწავლიან. ქართველი მასწავლებლები, რომელთაც კლასში აფხაზი მოსწავლეებიც ჰყავთ, მათ სამშობლოზე – საქართველოს სიყვარულსა და ერთგულებას უსაუბრებია, მშობლიური ენის სიდიადეს. ქართველი და აფხაზი ბავშვები, ჩვეულებრივ, თავისუფალ დროს ერთად ატარებენ, არ გეჩვენებენ და არ ეჩხუბებიან, – ლუკა.

სოფელ საბურთოში, რომელსაც სახელად გადაარქვეს და აფხაზურად პაპინრხუა უწოდეს, მეორე საშუალო სკოლაა. აქ სწავლება მეგრულ ენაზე წარმოებს. როგორც ბავშვები გვიდასტურებენ, მათთან სასკოლო ზემოქმედებაც მეგრულ ენაზე ტარდება. სკოლის დირექტორი აფხაზი ქალბატონია. აფხაზების დღესასწაულებს ლუკასა და ლიზის სკოლაშიც უძღვნებენ ღონისძიებებს, ოღონდ, რუსულად. სოფელს მეთვალყურეობასაც მხოლოდ აფხაზი სამართალდამცავი უწევს.

ჩვენი ბავშვები ექსკურსიაზე საქართველოში არ დაჰყავთ, არ შეიძლებაო. – ამბობს ლუკა. თვითონ კი ძალიან მოსწონს აქ ჰყოფნა. იმედს იტოვებს, რომ ისევ დაბრუნდება.

14 წლის წინ, მხოლოდ ერთხელ, მძის ქორწილში იმყოფებოდა აფხაზეთში ფატი ჯინჯოლია. “წარმოიდგინეთ, საზღვარზე თუ საშვი არ გაქვს, არ გიშვებენ იქ. სადაც დაიბადე და გაიზარდე. ზოგჯერ გეუხეშებიათ. შეიძლება, ფეხი ჰკრას მესაზღვრემ შენს ტვირთს და არ გაგატაროს”. – გვეუბნება იგი.

ჩემმა პატარა რესონანსებმა მოგონებები აუშალეს მამიდას. გაიხსენა, ომის დროს ბაღდათში სახლში როგორ ჩამოვიდა მისთან მამა თავისი ოჯახით, როგორ შეიფარა კიდევ სხვა სამი დევნილი ოჯახი. ერთი კვირის შემდეგ როგორ დაბრუნდა რუბენ ჯინჯოლია საბურთოში, თავის სახლში. თუმცა დღემდე ახნია ნატყვიარები. ქართულ-აფხაზური გვარების იდენტობასაც გაუსვა ხაზი. როგორ ეძახდნენ მათ მცხოვრებ მთავარებს, მაგრამ აფხაზი ლილი ჯინჯოლიას მამიდას. თავის დროს გალის თვითმმართველობაში დასაქმებული ამ ქალბატონის შვილების დამსახურებაც კი იყო, მა-

თი სოფელი რომ დაინდეს აფხაზებმა.

სვანეთიდან გადმოსული თავისი დედის ამბავიც მოგვითხრო ქალბატონმა ფატიმ, თითქმის ფეხშიშველი რომ მოდიოდა სვანეთით თოვლიან გზაზე. მისი მეუღლე, ტანგული ჯობაძე ის პოლიციელი იყო, ომის დასაწყისშივე ვერაგულად რომ მოკლეს აფხაზებმა. თურმე ტყვია-წამალი შემოაკლდათ მებრძოლებს, 12 პოლიციელი დაღუპულა მამინ. ცოცხლად გადარჩენილ ერთ-ერთ მათგანს სახელდახელოდ მიუყვარა მისთვის მიწა. რუბენ ჯინჯოლია ზუგდიდან თითქმის ყოველდღე გადადიოდა აფხაზებთან მოსლაპარაკებლად. თავისი თვლით ხედავდა უპატრონოდ დაფრულ ქართველთა გვამებს, ყვაყვები რომ ესოდა. მხოლოდ 21-ე დღეს გადაწყდა, ქართველების მიერ ტყვედ აყვანილი 4 აფხაზში გაეცვალათ 12 გარდაცვლილი პოლიციელი. შურისძიების მიზნით გალში ტანგული ჯობაძეს სახლკარი კი ცეცხლს მისცეს. მის შვილს მოსაკლავად დასდევდნენ, ვიდრე რუსეთს არ შეაფარა თავი. დიდი ხანი არ არის რაც მამა-პაპურ კერას დაუბრუნდა იგი.

კვირეულების ტრაგედიაზეც გვიამბობ, თუ როგორ მოკლეს ოჯახში მამა, დედა და მათი ქალიშვილი, ხოლო ვაჟი, რომელმაც სასიძინდეს შეაფარა თავი, ცოცხლად დაწვეს. ან როგორ გააჩადეს საბურთოშიც ცეცხლი აფხაზებმა და შიგროგორ ჩაჰყარეს ტყვედ აყვანილი ქართველები.

დღემდე უსიამოვნო განცდას უქმნის იმის მოგონება, გაუსაძლის პირობებში როგორ გადმოიარა სვანეთი მისმა ახლობელმა აფხაზმა ქალბატონმა თინა ეშამ, რომელსაც იმ ავადმჯობელებს 2 შვილი დაეღუპა. როგორ იყიდა ოქროთი ბარი, რომ სანახევროდ ტურებისგან შეჭმული შვილების ცხედრები დაემარხა.



დღეს უკვე ომი არც იქ უნდათ. ქართველებთან ერთად აფხაზებიც მშვიდობაზე საუბრობენ. “მამაჩემი ნადირობის მოყვარული კაცი იყო და ომის დამთავრებამდე კარგა ხანს ვერ ნადირობდა, აფხაზებს თოფის ხმა რომ არ გაეგოთ, სახლებიდან ვერ გამოდიოდნენ ქართველები, დამე შეუქს ვერ ანთებდნენ, ძალიან დაძაბულები იყვნენ. ვინ როდის შემოვიდოდა და რას მოიძიქმელებდა, არააინ იცოდა, – გვეუბნება ფატი ჯინჯოლია, – ახლა შედარებით ნეიტრალური სიტუაციაა, უმრავლესობამ აფხაზეთის პასპორტი აიღო, მათ შორის ჩემმა მამამაც, რომ იმუშავოს. ენგურის მხარე ძალიან ბევრი ქართველია დასაქმებული. თუ აფხაზების კანონებს არ დამორჩილები, იქ არავინ გაგაჩერებს”.  
ლუკამ და ლიზიმ ერთხელ კიდევ გადაიარეს ენგურის ხიდი. შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ საბურთოში, იქ სადაც, როგორც ლუკამ თქვა: “არასდროს გვაპინჯავა, რომ ჩართვილი ვართ!”

# სოფლის გარშემო გავრთიანებული მე-3 საჯარო სკოლის

ჩინელი ფილოსოფოსის კონფუციუსის აზრით “ღირსეული კაცი სიკეთეზე ფიქრობს, ჩვეულებრივი ადამიანი კი მომთხრობს”. თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი მიზანი ხომ სწორედ ღირსეული ადამიანების აღზრდაა. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველა საგნის პედაგოგი ცდილობს, ჩვენში მხოლოდ კონკრეტული დისციპლინით დაინტერესებული ადამიანი კი არა, ღირსეული პიროვნება აღმოაჩინოს. უმეტესად ამ მიზანს ემსახურება მათ მიერ შემოთავაზებული და ჩვენთვის ასე საყვარელი საგანმანათლებლო თუ სოციალური პროექტები.

ფეიქრობთ, რომ სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზანი ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებლის სონია ნუცუბიძისა, როდესაც მან სოციალური პროექტის “სიკეთე გადამდება” განხორციელება შემოგვთავაზა. პროექტით სწავლება ჩვენი თაობის მოზარდებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სასურველი აქტიუობაა, ამიტომაც ყოველგვარი ფეიქრისა და ყოყმანის გარეშე დაეთანხმდით მის შემოთავაზებას. შევადგინეთ სამოქმედო გეგმა, გავინაწილეთ ფუნქციები და საქმეს შეუდევით, საოცარი ამაყები ვიყავით, როდესაც თანასკოლელებს ჩვენს ინიციატივას ვაცნობდით და პროექტში მონაწილეობას ვთავაზობდით. შედეგად არ დააყოვნა: გამოაჩნებელი აქტიუობითა და ენთუზიაზმით გროვდებოდა პროექტი და ტანისამოსი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ჩვენი პროექტის მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ. ესენი კი გახლდნენ ქალაქ სამტრედიასში, სოფელ ჭაბანსა და დაბა კულაშში მცხოვრები ის შეჭირვებული 10 ოჯახი, რომლებსაც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ჩვენი დახმარება.

პროექტში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობამ, მშობლების მხრიდან მოლოდინებმა აქტიუობამ და წინა საახალწლო დღეებში ბენეფიციართა გაბრწყინებულმა და მაღლიერმა თვლებმა რეალურად დაგვანახეს, რომ სიკეთე ნამდვილად გადამდება. ეს არის ძალა, რომელიც უხილავი ჯაჭვით მისცენ გექ-



აჩება და გულში სასიამოვნო მაკურნებელ მალამოდ გვეღვრება. სიტყვებით მწვია გადმოსცე ეს გრძობა, რაც ჩვენ, მე-3 საჯარო სკოლის Xb კლასელებმა ამ მოკრძალებული ქმედებით განვიცად-

ეთ. გვერწმუნეთ, სიკეთე ნამდვილად გადამდები სენია, სენი, რომელიც ყველა სატყვიარს კურნავს. ვისურვებდით, რომ 2018 წლიდან მკვეთრად შემცირებულიყოს შეჭირვებ-



ული ოჯახების რაოდენობა, როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისე სრულიად საქართველოში. ბედნიერ და იმედიან ხვალინდელ დღე-

ს ვისურვებთ!  
**სსიპ ქალაქ საბურთისის № 3 საჯარო სკოლის Xb კლასის მე-3 საჯარო სკოლის**



# დათა მიქელაძე (მეველე) “ჭრელი პეპელა დაათრო...”

ცნობილი ქართველი მწერლის, ელგუჯა მდრადის აზრით, “მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე უანგარო და ნიჭიერ მოღვაწეთა რიგებს ამშვენებდა ერთი უსამართლოდ მივიწყებული, იგივე კულამელი, იგივე მეველე, იგივე “დროების” მუდმივი კორესპონდენტი, რაინდული გამბედაობით, დიდი ცოდნითა და ნიჭით გამოჩენილი კაცი”. მისი მონოგრაფია “მეველე” სწორედ XIX საუკუნის თვალსაჩინო პუბლიცისტის, დავით მიქელაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

დავით (დათა) მიქელაძე ჩვენი თანამემამულეა. მისმა განვლილმა გზამ და მწერლობის შემთხვევებმა იძლეოდა მიიქცია ყურადღება, რომ საქართველოდ ჩავთვალო, შთაბეჭდილებები სამტრედიელი მკითხველისთვის მიმეწოდებინა.

ელგუჯა მდრადის მონოგრაფიაში “მეველე” ვკითხულობთ: “კორესპონდენციაში, ფელეტონში თუ წერილში მეველის ფიქრი თავს დასტრიალებდა საქართველოს. მეველე გადატანითი მნიშვნელობით მამულის გუშავს და მოამაგეს ნიშნავს. დათა მიქელაძემ ამ ფუნქციონირების არჩევით განუტყვევია ამ სიტყვას მასში ჩადებული აზრი”. მწერალი, როგორც მადლიერი მეველდრე, სათანადოდ აფასებს დათა მიქელაძის წვლილს ჩვენი ქვეყნის კულტურული წარსულის ისტორიაში. მასზე მოპოვებული მასალების თავმოყრა და “მეველის” ღვაწლის სრული სურათის შექმნა საშუალებას იძლევა, უფრო ახლოს და უკეთ გავიცნოთ დათა მიქელაძე, როგორც დირსეულ თანამემამულეს და მიქელაძეთა დიდი გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელს. მათ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს კულამის და კერძოდ, სამტრედიის საძირკვლის მშენებლობაში.

დავით მიქელაძე დაიბადა 1843 წელს, სოფელ კულამში. გამოჩენილი მოღვაწის მამა, ალექსანდრე მიქელაძე, ქუთაისის გუბერნიის თავადანაურობის პირველი წინამძღოლი (მარშალი), სახელოვანი მებრძოლი ყოფილა, ქართული მილიციის ვეტერანი.

დათა მიქელაძემ განათლება ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. 1864 წელს მისი ინიციატივით და თანამონაწილეობით დაარსდა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული ჟურნალები და წიგნები, ასევე “მეველეს” სტატიები და ლექსები. დათა მიქელაძე უახლოვდება სამოციანელთა მეთაურებს, კერძოდ, თავის თანამოაზრესა და მეგობარს სერგეი მესხს, რომლის სასიცოცხლო მიზანი სამშობ-

ლოს უანგარო სამსახური იყო. ამ სახელოვან გარკვეული გავლენა მოახდინა დათა მიქელაძეზე. ის არ კმ-

გრამ მადლა ნუ აიწევით, ქუდი რო ეხუროს, ისე ნახეთ. ხასიათში სამუალო საუკუნის რაინდული თვისე-



აყოფილება მიღებული განათლებით და სწავლას პარიზში აგრძელებს. უცხოეთში მყოფი მსოფლიო ისტორიული მოვლენების ერთგვარი მონაწილეც ხდება (პარიზის კომუნა და მისი გამოძახილი).

1873 წელს დათა მიქელაძე ნიკოლოდაქსთან და პ. იმბილოვთან ერთად გამოსცემს არაღებულურ გაზეთს “დრომას”, რომლის 10 ნომერი გამოდის მხოლოდ და ეხმარება რევოლუციურ იდეებს, რაც დათა მიქელაძის ისტორიულ დამსახურებად არის შეფასებული.

ის დიდი ილიას და აკაკის თაობის წარმომადგენელია, ათეული წლების განმავლობაში მათი მეგობარი და თანამებრძოლი. ამ ურთიერთობას ხელი შეუწყო მისმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ პირველ პროგრესულ გაზეთ “დროებაში” 1873-94 წ.წ. რომლის ფაქტობრივი რედაქტორი და გამომცემელიც ის იყო.

90-იან წლებში დათა მიქელაძე “ივერიის” რედაქტორია. როგორც “დროებაში”, იქაც ის ატარებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულების ხაზს.

საინტერესოა “დროების” ფურცლებზე სერგეი მესხის (“მეკენჭეს” ფსევდონიმით) გამოქვეყნებული იუმორით გაჯერებული დათა მიქელაძის დახასიათება: “სიმპათიური, ყველასთვის და განსაკუთრებით ქალბატონებისათვის საყვარელი კაცი! კარგი ტანადი, ლამაზი, თავადი, კარგად გაზრდილი, წვერ-უღვაში, ჟურუნა თვალები, ფართო შუბლი... მა-

ბანი და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილება ერთად აქვს შეზავებული”.

უკეთეს დახასიათებას ვერ ინატრებდა კაცი!

დავით მიქელაძემ დირსეული ოჯახი შექმნა. ცოლად შეირთო ელისაბედ ირაკლის ასული ლორთქიფანიძის ქალი, რომელთანაც ოთხი შვილი ეყოლა. მისი სახლი იყო ერთგვარი ლიტერატურული სალონი, სადაც პატრიოტული სული ტრიალებდა. აქ იკრიბებოდნენ გამოჩენილი მოღვაწეები. მათი შეხვედრის უმთავრესი საგანი ქვეყნის მომავალზე მსჯელობა იყო.

დავით მიქელაძემ მეგობრობდა ნიკოლოდაქსთან, ილიასთან და აკაკისთან. სწორედ სტუმრობდა ილიას საგურამოში და ილიაც არაერთხელ მიუწვევია მის ოჯახში. მიქელაძის ქალიშვილის – ნინოს გადმოცემით მამის სწიბრი და სასურველი სტუმრები ყოფილან ვარლამ ჩერქეზიშვილი, ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, კიტა აბაშიძე, იაკობ გოგებაშვილი და აკაკი წერეთელი. საყურადღებოა ის, რომ დავითის შვილისთვის, ივერისთვის აკაკის მიუძღვნია უკვდავი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

“ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა, მას მიეპარა ივერი, დაიჭირა და იამა”.

შემდეგ ამ ლექსში “ივერი” შეცვლილა სიტყვით “ქმარული”. ეს მკვეთრად განაზოგადებს ამ მშვენი-

ერ ლექსს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ლექსის დაწერის საბაბი და პირველი ვარიანტი დაკავშირებულია დათა მიქელაძის ოჯახთან და მის შვილთან ივერისთან, ბუნებრივია, ამ ოჯახთან დიდი პოეტის, აკაკი წერეთლის, თბილ ურთიერთობებზე მიუთითებს.

დავით მიქელაძის ცხოვრების გზის შესახებ საინტერესოაა მოიხრობილი სამტრედიის ენციკლოპედიაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კულამის ერთ-ერთი ძირძველი და წარმოჩენილი გვარის შესახებ სერიოზული მუშაობა გასწია ამ გვარის დირსეულმა შვილმა, გენერალ-ლეიტენანტმა ჯემალ (ჯიმი) მიქელაძემ და მისმა მეუღლემ.

სამტრედიის ენციკლოპედიაში შეტანილია მიქელაძეთა გვარის 33 წარმომადგენელი. თითოეული მათგანის ბიოგრაფია უაღრესად საინტერესოა და მდიდარი.

რაც შეეხება დათა მიქელაძეს – ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტს, მწერალსა და მთარგმნელს, “მეველეს” ფსევდონიმით ცნობილ პიროვნებას, – ვეცნობით როგორც პრინციპულს, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქომავს, ქართველი ერის მოჭირნახულეს, ქველმოქმედს. თითოეულ ჩვენგანში სიამაყის გრძობას აღძრავს იმის გაგ-



ება, რომ მას ჰყავდა თავისი სტიპენდიანტები, ეხმარებოდა გლეხების შვილებს სათავადანაურო სკოლაში განათლების მისაღებად, და რომ დათა მიქელაძეს დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ კულამსა და ჩხენიშში პირველდაწყებითი სკოლების დაარსებაში. მისი პიესა “ზაფანგი” 1899 წელს აკაკი წერეთელმა გამოაქვეყნა თავის კრებულში და წარმატებით დაიდგა ქართულ სცენაზე, თარგმნა ლევ ტოლსტოის “მეუფეობა წვევდიადისა” და სხვა რუს მწერალთა ნაწარმოებები. აქვეყნებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და თეატრალურ მიმოხილვებს. იგი გამოირჩეოდა ჭადრაკის ბრწყინვალე თამაშით და არაერთხელ გამოუჩენია თავი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში დათა მიქელაძე გადადის ქუთაისში, სადაც შავი ქვის მრეწველობის საბჭოში ირჩევენ, შემდეგ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წევრად, ხო-

ლო 1910-1916 წლებში ამ ბანკის დირექტორია. მერე მსცოვანი მოღვაწე პენსიაზე გადადის. გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, 1918 წელს. დაკრძალულია ქუთაისში.

დათა მიქელაძის ცხოვრების გზა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მან გაუსწრო დროს, ბურჯად ეღვა ქვეყნის ზნეობას, მის ავ-კარგსა და მომავალს. “ხალხი ზნეობით და გონებით უნდა იყოს ძლიერი, მას სასარგებლო ნაყოფი უნდა მოჰქონდეს კაცობრიობის სახლობაში. თორემ მისი მომავალი, რაც გინდა ბევრი მცხოვრები ჰყავდეს, სანატრელი არ არის”.

“მეველეს” კარგი ზნეობის სამჭედლოდ ოჯახი მიაჩნია. “არც ერთი ერის წარმატება და აღორძინება არ არის დასაჯერებელი, სანამდის ამ ერს კარგი ოჯახი არ გაუჩნდება”. კარგი ოჯახის ბურჯი კი დედაა. ამიტომ მოითხოვს ქალთა განათლებას.

“მეველეს” ახარებს ყოველი ახალი წამოწყება. 1894 წლის 4 თებერვალს “ივერიაში” წერილით ეხმარება ცხენისწყლის არხის გაყვანის საშეიღებოლო საქმეს, რომლის შესრულებად არჩეულ იქნენ ნიკო ნიკოლაძე, დავით ლორთქიფანიძე და დავით ლოლობერიძე. ვაკე იმერეთის წყლით მომარაგება 130 ვერ-

სისის სიგრძის არხით მართლაც დიდი საქმე იყო. “მეველე” კი არ თაკილობს ამ საქმეში გარეგანს, არამედ მოითხოვს გამოიყენოს ხალხმა თავისი უფლება და დროზე აირჩიონ არხის საბჭოს მესამე წევრად, ვიდრე მას ზემოდან დანიშნავენ.

დათა მიქელაძის მსჯელობაში საყურადღებო აზრი და გამჭრიახობაა ყოველთვის ჩადებული. ის ამბობს: “გონიერი მმართველის დირსება ის არის, რომ სანამდინ

ხალხი რასმეს მოითხოვდეს, მანამდინ უნდა დააკმაყოფილოს ის, თორემ როდესაც ხალხი აღელდება და მოთმინებიდან გამოვა, მამინ ის ცოტა რასმეს კი არ დასჯერდება, ყველა მმართველობა იგულისხმება მმართველობა – ნ.გ.), რომელიც ამ კანონს გარდამხდარა, სასტიკათ დასჯილა თავის ჯიუტობით”.

დათა მიქელაძის თვალსაწიერი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სწვდება: ეროვნულს, სოციალურ-პოლიტიკურს, საერთაშორისო მდგომარეობას, ლიტერატურასა და თეატრს, განათლებას, ქალთა უფლებების დაცვას და სხვა.

“შე ერთობ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო აღორძინდება” – ეს ჭეშმარიტი მამულიშვილის დათა მიქელაძის სიტყვებია, რომელმაც ხალხის სამსახურს შესწირა სიმშვიდე, სიმდიდრე, მამული და კარიერა.



# გოგონა სიყვარულით

თვეების წინ მონიციბალიტეტის ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ ღონისძიებაზე გაიცანი. I თებერვალს, "წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს", ისევ ბიბლიოთეკაში, მორიდებული სალაში შემაგება, მერე საკუთარი ლექსი წაგიკითხა და გემოვნებიანი მსმენელისაგან სათანადო შეფასებაც დაიმსახურა.

ღონისძიების შემდეგ რედაქციაში გვეწვია, რამდენიმე ლექსი მოიტანა – საჭიროდ თუ ჩათვლით დამიბეჭდეთო.

თამთა ცერცვაძე დაბა კულაშის საჯარო სკოლის XI კლასის წარმატებული მოსწავლეა, უყვარს კითხვა, ქართული მწერლები და შესაბამისად მწერლობა ჩემმა ისტორიის მასწავლებელმა, მარინე შეიშვილმა, შემაყვარაო, – გულწრფელად გვითხრა.

თხოვნას უსრულლებთ თამთას და რუბრიკით "ჭაშნივი" მის ორ ლექსს ვთავაზობთ მკითხველს. თამთას კი წარმატებებს უუსურვებთ სწავლასა და პოეზიაში.



ლექსი **გაგონება**

\*\*\*  
 მე გამეღვიძა დეკემბერში  
 და ვნახე თოვლი,  
 ფიფქები როგორც შემოდგომის  
 ფოთოლთა ცვენა,  
 მე გამელიძა, გამახსენდა ძველი დროება,  
 ბავშვებზე რომ აღარ  
 ეჩქარობთ გარეთ გასწრებას.  
 მოგონებებად შევხატება  
 თოვლი სახეში,  
 ქარიც მიწის ფურთან, თითქოს  
 მჭერჩურჩულება,  
 ეს საამოა, ნიავს თითქოს გული  
 ატკინეს  
 და ელოდება ნაადრევად გამოზამთრებას.

\*\*\*  
 ქარი ქრის, შემოდგომის ამპარტავანი,  
 ცივი სუსხი კი ატანს თითქოს პიჯაკებს მიღმა,  
 შემოპარული ეს ზამთარი, ეული, ცივი,  
 ეს სიმარტოვეც თვით ცივია, ვით შემოდგომა.  
 ღრუბლებზე ატანს უკვდავების ალიაქითი,  
 ყაზბეგის მთას დასწოლია ცა ჩვენს ცოდვებად,  
 და რამდენია, ღმერთო ჩემო, თქვენში დიმილი  
 და ამ დიმილში დაგაფიქრებს ცოტადა ახლა.  
 მინდა ვიფვირო, ცისქვეშეთში მთელი სიმძლავრით,  
 შემოვიღწეოთ გულის კარი, დარაბებს მიღმა,  
 მინდა, ზამთარი მოდიოდეს, უშემოდგომოდ  
 შემოდგომასაც საზღვარი აქვს დარაბებს მიღმა.

**თამთა ცერცვაძე**

# ამირანის პარკი

გმადლობთ, ამ საოცარი სილამაზისთვის, ამ უნიკალური ტყე-პარკის ასე სათუთად მოვლისა და გვერდით დგომისათვის!

შემოვედი თუ არა ამ ზღაპრული ტყის სამყაროში, უპირველეს ყოვლისა, მოვიხიბლე მისი სილამაზითა და სისუფთავით... მოვირწყულე ბილიკებზე არსებულ აბრეშველ ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ ბრძნულ გამონათქვამებს ამოციბითხავთ. სიამაფით ვივსებთ, რომ დღეს არსებობენ თქვენნაირი – მაღალი სულის, ზეგარდმო ნიჭით ნაკურთხი ადამიანები.

პედაგოგი ვარ და მინდა, ჩემს მოსწავლეებს ამთავითვე ჩაუუნერგო ბუნების სიყვარული, მოვიყვანო აქ და დავატკბო ამ შეუდარებელი მშვენიერებით.

ამირან დიმიტრის ძე გოგოლაძე ბაკურიანში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა 1938 წლის 23 ივლისს. მისი სახლის წინ იყო გაუვალი ტყე, სადაც ბატონმა ამირანმა თავისი ხარჯებით და მუხლჩაუხრელი შრომით გააშენა პარკი. 50 წელია, იგი უანგაროდ ემსახურება ამ დიდებულ საქმეს. ამირან გოგოლაძე ყოველთვის იღებდა მონაწილეობას დღესასწაულში "ბაკურიანობა" და გამოიყვანდა საკუთარი ხარები "ტარზანი და ჯეირანი".

როდესაც უცხოელები ესტუმრნენ მის პარკს, აღტაცებულნი დარჩნენ ამ საოცარი სილამაზით და შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერეს შემდეგი სიტყვები: "კაცი "ვერტალიოტი", კაცი "ოტელი", კაცი "ფიდელ კასტრო", "კლდეზე მიჯაჭვული პრომიეთი". ...სიტყვა-სიტყვით ამოვწერე ეს სტრიქონები პარკში არსებულ შთაბეჭდილებათა წიგნიდან... როდესაც მისი პატარა კაბინეტი დავათვალიერე, ბატონმა ამირანმა საკუთარი ნახატებიც მანახა და ლექსებიც წამაკითხა. მოვიხიბლე ამ ადამიანის შემოქმედებით. გადავწყვიტე, პატარა სამადლობელი წერილი დამეწერა მასზე.

სასიამოვნოა, რომ მსგავსი ღვაწლი სამტრედიამშიც მიუძღვის ბატონ ვლადიმერ კახიანს. მის მიერ გაშენებულ დენდროლოგიურ პარკს აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი. არ შემეძლო, როგორც სამტრედიელს, ეს არ აღმეჩინა. საქართველოს ყოველთვის აძლიერება და აძლიერებს თქვენნაირი მამულიშვილები.

ბარაქალა თქვენს გარჯას! დასაფასებელია თქვენი ღვაწლი, უანგარო შრომა ამ პარკის მოვლისა და შენარჩუნებისათვის, ეს კი გმირობის ტოლფასია. ესტუმრეთ ბაკურიანში ე. წ. "ამირანის პარკს" და დატკბით ამ სილამაზით. მე კი კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ბატონო ამირან!



**პავლე გოგიტიანი**  
**ვახისის**  
**მიხეილგაბაის აკადემიის წევრი**

\*\*\*  
 ყოველდღე ჩემი ცქერითა  
 გვერდები სანამ ვითბილო?  
 ყვაილად თვალს რომ გავაღებ,  
 მაშინ რას მეტყვი სივდილო?  
 ყოველდღე ჩემი ცქერითა  
 გვერდები სანამ ვითბილო?..

\*\*\*  
 გული წამივიდა ამ ზამთარში,  
 მგონი, სიჭაბუკე ბაღლობის კბილივით მოვიცვალე,  
 მზე რომ მოწვეთავდა გულის წვეთებივით,  
 ყვაილდება დასალევად მომიტანეს...

**ვაჟაფროსა**  
 წვიმების შემდეგ მზეს მშობიარობს ზეცა,  
 უკვე მტვენების ქვევრება დასაცლელი,  
 აი, ჩვენს ეზოებს ზაფხულმა  
 ჩააცვა მისი ნაცვამი ტანსაცმელი...

\*\*\*  
 ნათლისღებისას აბაშის წყალი  
 მირაკრავდა როგორც გალობა,  
 შინით პატარა თევზები  
 ისე მოხინანდნენ,  
 როგორც დედაჩემის თვალებიდან  
 ჩემი ბავშვობა...

\*\*\*  
 დასაბადებლად ჩემი დედა  
 რომ ავირჩიე,  
 ალბათ, დაბადებამდე დიდი ხნით ადრე  
 მიყვარდა იგი...

\*\*\*  
 დედის ფიქრში შეილი  
 ერთი წუთით რომ შევიდეს,  
 დედის დარდი მთვარესავით  
 გაუნათებს გზას...

\*\*\*  
 შემეყვარდა ლურჯი ია,  
 ამოსული ნამში,  
 თუკი არის გათხოვილი,  
 ძმად მიმიღოს მაშინ...

\*\*\*  
 ჩემი ლექსები მეცოდება,  
 ეკა, ამ დასაწყლებულ და ხეიბარ მწირთ...  
 მიტომ დადიან ასე ფერმკრთალნი და ასე...  
 რომ მათ ჩემი ავადმყოფობა სჭირთ...

\*\*\*  
 მზე კრუხივით აქოჩორდა,  
 უკვე არ ინდობა საბუღარში გაჩერება,  
 და ჩემი სოფლის სახურავებზე  
 ბარტყივით გამოჩეკა გათენება.

**პრემიუ თოვლები**

\*\*\*  
 როგორც მარტყოფი, როგორც ვარძია,  
 საქართველოში ისიც ერთია,  
 წმინდა და სუფთა გულში სამყოფი,  
 მისი მთვარეული თავად ღმერთია.  
 მამა ილია, მწვემსი კეთილი,  
 დიდი მოძღვარი, ჭადარა ბერი,  
 უფალო დიდხანს გვიცოცხლე მამა,  
 რომ სიკეთისკენ მობრუნდა ერი...

\*\*\*  
 დაღუმებულა გურული ოდა,  
 მიტოვებული და გაცრეცილი,  
 ოდა, რომელშიც მუდამ ისმოდა  
 მხიარული და ლაღი სიცილი.  
 ახლა დგას ასე დაღონებული,  
 გაცივებული მხურვალე კერა,  
 მეც ვდგავარ თითქმის ატირებული  
 და ცრემლებს ვეღარ ვიკავებ, ვერა.

\*\*\*  
 რა ლამაზია ჩემი სოფელი,  
 დილით ყვილი მამლის,  
 აქ ნაცნობია ჩემთვის ყოველი,  
 ვიცნობ ავლილს და ჩაველილს.  
 რა შეედრება აბანოს წყაროს,  
 და ჩემი სოფლის ლამაზ ბუნებას,  
 ფეხქვეშ დამიგეთ თუ ვინდ სამყარო,  
 მე ავირჩევი აქ დაბრუნებას.  
 აქ მიჩვენებია დარჩენა, ვიდრე  
 სხვა ქვეყანაში წასვლის და ყოფნის,  
 არ მინდა უცხო ქვეყნის სიმდიდრე,  
 მე ჩემი სოფლის სურნელი მყოფნის.  
 არ მინდა სხვაგან პრინცად მე ყოფნა,  
 ოქროს სასახლე და სამყოფელი,  
 მე ჩემი სოფლის ქონიც მეყოფა,  
 და მიჩვენებია ჩემი სოფელი.

**თინათინ ბენაძე**  
**სამხრეთის № 2 საჯარო სკოლის**  
**IX-ა კლასის მოსწავლე**



# “საფეხბურთო ბუცების” გამოგონების ისტორიიდან...

“საფეხბურთო ბუცი” – წარმოადგენს მისი უდიდესი უნარი – “ფეხბურთის” თამაშისათვის აუცილებელ სპეციალურ ფეხსაცმელს (ძირითადად ტყავის), რომლის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი სხვა ჩვეულებრივი სპორტული ფეხსაცმლისგან არის მის ძირზე განთავსებული სხვადასხვა ფორმისა და რაოდენობის შიპი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ასეთი სახის სპორტული ფეხსაცმელი ჯერ კიდევ ინგლისის ტიულორების დინასტიის მეფის, პენრი VIII-ის მმართველობიდან (1509-1547 წლები) იღებს სათავეს და შესაბამისად, მის შესახებ პირველი ცნობებიც XVI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება. ერთ-ერთი საფეხბურთო მძაჭრის დროს, პენრი VIII-მ მინდორზე ფეხის ტრაჟედი მიიღო. სწორედ ამ ტრაჟედიის მიღების შემდეგ უბრალოდ მან პირად მეწაღეს, გვარად – კორნელიუსს, მისთვის დაემზადებინა ისეთი სახის სპეციალური სპორტული ფეხსაცმელი, რომელიც მინდორზე არ ისრიალებდა და თამაშის ნორმალურ საშუალებას მისცემდა. კორნელიუსმა მეფის ბრძანება პირნათლად შეასრულა და ისტორიაში პირველმა ბუცებმაც 1528 წელს პენრის უზარმაზარ გარდღობში დაიკავეს ადგილი. სამწუხაროდ, მათ ჩვენამდე არ მოუღწივია.

საფეხბურთო ბუცების დანიშნულების ანალიზის გაკეთება სპორტულმა სამყარომ 1800-იან წლებში დაიწყო. XIX საუკუნის დასაწყისში ფეხბურთელები იყენებდნენ ბუცის წინა მხარეს მეტალის

ბადეში ჩასმული ტყავისაგან დამზადებულ მძიმე და გრძელი თასმების მქონე ბუცებს, რაც ფეხბურთის თამაშს ერთობ ურთულელს. გარდა ამისა, ასეთი სახის ბუცებს მეტალისვე შიპები გააჩნდა. 1863 წელს საფეხბურთო ასოციაციის მიერ აკრძალული იქნა მათი გამოყენება მიყენებული ტრაჟედიების სინშირისა და სიმძიმის გამო. 1891 წელს საფეხბურთო წესებში ცვლილებები შევიდა. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, დაშვებული იქნა ისეთი სახის “საფეხბურთო ბუცები”, რომელთა შიპები დამზადებული იქნებოდა არა მეტალისაგან, არამედ სხვა ისეთი მასალისაგან, რომელიც რინის შიპებისგან განსხვავებით, ნაკლებ ტრავმას მიაყენებდა ფეხბურთელებს. გარდა ამისა, შიპის ფორმა აუცილებლად მრგვალი უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ, დროის გასვლასთან ერთად იხვეწებოდა “საფეხბურთო ბუცების” ხარისხი, თუმცა XX საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე, მის დიზაინში ცვლილებები ფაქტობრივად არ შესულა.

1949 წელს, გენიალურმა გერმანელმა მეწარმემ და კომპანია – “ადიდასის” დამფუძნებელმა ადოლფ (ადი) დასლერმა (1900-1978), ნამდვილი რევოლუცია მოახდინა “საფეხბურთო ბუცების” დამზადების კუთხით. მან შექმნა ისეთი სახის ბუცები, რომლებსაც სპეციალური რეზინისაგან დამზადებული შიპები გააჩნდა და რომელიც ბევრად უფრო მოსახერხებელი და გამოსაყენებელი იყო მოედანზე. 1954 წლიდან “ადი-



დასის” მიერ წარმოებულ შესანიშნავ ბუცებს ბაზარზე კონკურენციას თითქმის ვერავენ უწევდა და იგი გახლდათ 1954 წელს შვეიცარიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი სპორტული ბრენდი. დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო ნაკრებს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტული მოიპოვა, სწორედ “ადიდასის”

სპორტული ინვენტარი ემოსა. მათ შორის “საფეხბურთო ბუცებიც”. ბერნში გამართულ ფინალურ მატჩს, თავად კომპანია “ადიდასის” დამაარსებელი ადოლფ (ადი) დასლერიც დაესწრო. მას შემდეგ “საფეხბურთო ბუცების” დამზადების ტექნოლოგია საოცარი სისწრაფით დაიხვეწა და დროთა განმავლობაში შეიქმნა ისეთი სახის “საფეხ-

ბურთო ბუცებიც” კი, როგორც არის “კეკიანი ბუცები”. კონკურენციამ სპორტული ტანსაცმლის წარმოებაში (მათ შორის საუკეთესო ხარისხის საფეხბურთო ბუცების) აპოგეას მიაღწია და დღეს “ადიდასთან” ერთად დომინირებენ ისეთი გოლიათი ბრენდები, როგორებიც არიან “პუმა”, “ნაიკი”, “დიადორა”, “უმბრო” და სხვები.

# “მოზაიკური ასაწყობი თავსატეხი”

პირველი “მოზაიკური ასაწყობი თავსატეხი” გამოგონებულ და შედგენილ იქნა ინგლისელი პედაგოგის, ჯონ სპილბერის მიერ 1763 წელს. გრაფიურა შავ-თეთრ ტონალობაში, წითელი ხის თხელი და პატარა პანელები-საგან იქნა დამზადებული. მასზე კი დატანილი იყო გეოგრაფიული რუკა. დამზადების მიზანს წარმოადგენდა ერთგვარი მეცადინეობა გეოგრაფიაში ჯონ სპილბერის მოსწავლეებისთვის. “გეოგრაფიული თავსატეხისაგან” მოსწავლეებს უნდა შეედგინათ მსოფლიოს რეალური რუკა. პირველმა “თავსატეხმა”, რომლის პირველი მოდელიც გეოგრაფიული გახლდათ, იმთავითვე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ინგლისში და შემდგომ მთელ ევროპაში. ჯონ სპილბერის იდეა მალევე იქნა ატაცებული. დაწყებულ იქნა არა მარტო გეოგრაფიული თავსატეხების, არამედ, პორტრეტების, გამრავლების ცხრილების, ანბანების, პეზაჟებისა და სხვა გამოსახულებების დამზადება. შესაძლოა თამამად ითქვას, რომ ჯონ სპილბერის ინოვაციურმა გამოგონებამ ნამდვილი ბუმი და ფურორი გამოიწვია. პირველად “ასაწყობი თავსატეხების” მასიური დამზადება ინგლისში დაიწყო, შემდეგ ევროპაში, მე-XIX საუკუნეში ამერიკაში და მოგვიანებით მთელს მსოფლიოში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ “ასაწყობი თავსატეხი”, გარდა გონებრივი დატვირთვისა, სათამაშო ფუნქციასაც ითავსებდა და იგი საკმაოდ ძვირადღირებული იყო. თუმცა, საბეჭდი მანქანების მასიურად გამოყენების შემდეგ, იგი არა მარტო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებისთვის, არამედ შედარებით დაბალი სოციალური ფენის ადამიანებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. 2012 წელს შექმნილ იქნა მსოფლიოში ყველაზე დიდი “ასაწყობი თავსატეხი”, რომლის ზომებიც 20 მეტრი – 15 მეტრზე იყო და მასზე გამოსახული გახლდათ გენიალური გერმანელი მხატვრის, ალბრეხტ დიურერის აუტოპორტრეტი. იგი შედგებოდა 1023 ელემენტისგან, რომელთა თითოეული ელემენტის წონა 800 გრამი იყო, ხოლო ზომით 70 სანტიმეტრი 70 სანტიმეტრზე. “ასაწყობი თავსატეხის” აქტუალურობა არც დღეს დაუკარგავს და იგი კვლავაც დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით ბავშვებში.



Genia. Ge



ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით გულისტკივილით იუწყებიან ახლო ნათესავის, პირველი სამუსიკო სკოლის დეკლამაციის პედაგოგის, ქალთა საზოგადოების უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ღირსეული მეუღლის, დედისა და ბუბის, ქალბატონი **ლილია იონას ასული გალიაზიშვილი-პრავიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ გეგემიძეების ოჯახსა და მარინე გელეიშვილს მეუღლის, მამის, ბაბუისა და დეიდაშვილის **თინათინ სარგოს ძე გაბაშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს მამუკა (ბაჩო) შენგელიას მამის **ოზარ შინგელიას** გარდაცვალების გამო.

ამირან პაპავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება **ოზარ შინგელიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.




### უილიამ ოტრედი - "ლოგარიტმული სახაზავი გამომგონებელი"

"ლოგარიტმული სახაზავი" – 1622 წელს დიდი ინგლისელი მათემატიკოსის, უილიამ ოტრედის (1575-1660 წლები) მიერ იქნა გამოგონებული. უილიამი სასულიერო პირის ვაჟი გახლდათ. თავდაპირველად სწავლობდა ითონში, ხოლო მოგვიანებით კემბრიჯის სამეფო კოლეჯში, სადაც სპეციალიზირებას გადიოდა მათემატიკის კუთხით. 1595 წელს მან მიიღო პირველი სამეცნიერო ხარისხი და ჩაირიცხა აღნიშნული კოლეჯის სამეცნიერო საბჭოში. ამ პერიოდში იგი სრულიად ახალგაზრდა, მხოლოდ ოცი წლის გახლდათ. მოგვიანებით გადაწყვიტა ღვთისმეტყველების შესწავლა და 1603 წელს ხდება კიდევ სასულიერო პირი. მიუხედავად ამისა, მისი უმთავრესი ინტერესის სფეროს მათემატიკა წარმოადგენდა. მისი საცხოვრებელი ყოველთვის საესე იყო ახალგაზრდებით, რომლებიც მისგან მათემატიკის მეცნიერებას სრულიად უფასოდ ეუფლებოდნენ. მოსწავლეებისგან ის ფულს არ იღებდა, მით უმეტეს, რომ ეკონომიურად არცთუ ისე დაღმარებულად ცხოვრობდა. 1631 წელს თავისი მოსწავლეებისთვის დაწერა მათემატიკის სახელმძღვანელო "არიტმეტიკის გასაღები", რომელიც სწრაფად გახდა პოპულარული სახელმძღვანელო და ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოს წარმოადგენდა არა მარტო XVII, არამედ XVIII საუკუნეშიც. 1630 წელს სტუმრად ეწვია მისივე მოსწავლე და შემდგომში ცნობილი მათემატიკოსი, უილიამ ფოსტერი, რომელთან მსჯელობის დროსაც ჩამოუყალიბდა შეხედულება იმისა, რომ შეექმნა "ლოგარიტმული სახაზავი". გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1622 წელს მან პირველად დაამზადა აღნიშნული სახაზავი. 1632 წელს ლონდონში გამოიცა უილიამის წიგნი "პროპორციის წრეები", სადაც მან აღწერა ლოგარიტმული სახაზავის კონსტრუქცია და მისი დადებითი მხარეები. აღსანიშნავია, რომ "ლოგარიტმული სახაზავის" დამზადების უფლებები მან ოფიციალურად მიანიჭა იმ დროისათვის ცნობილ ლონდონელ მექანიკოსს ელიას ალენის. 1654 წელს ინგლისელმა რობერტ ბისაქერმა დახვეწა უილიამის მიერ შექმნილი "ლოგარიტმული სახაზავი" და მისცა მას სრულყოფილი სახე, ისეთი, როგორც დღევანდლობაში გვხვდება იგი. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მათემატიკური ხელსაწყოების გამოგონებელი უილიამ ოტრედი გარდაიცვალა 1660 წლის 30 ივნისს.



GULIELMUS OUGHTRED ANGLVS ex Academiæ Cantabrigiæ, A. ætatis 75. 1646.

Genia.Ge



### ზისი განწყობისთვის ლიფი და ზეპან სურათები

## კულოცავთ!

**ბატონებს კოზა აქიფურს, ბაჟან ბაჟაფიფის!**  
ვილოცავთ დაბადების დღეს, წინსვლას, წარმატებებს გისურვებთ, იღვებრძელებთ!  
**პატარაბნის რაიონული კავშირი**

**ბატონებს კოზა აქიფურს, ბაჟან ბაჟაფიფის!**  
დაბადების დღეს ვილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში!  
**"საბრძოლის მაცნე"**

**ბატონ შუბრი ურუფაფის!**  
80 წელი შეუსრულდა განათლების სისტემის ღვაწლმოსილ მუშაკს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ბატონ შუქრი ურუშაძეს.  
ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ, ჩვენო უფროსო მეგობარო.

**კატეხისციხეში ლევან ბაჟაფაჟა, მურად ბაჟაფიფილი**

**ბატონ რაულ ხუჭუას!**  
ღვაწლმოსილ სამტრედიელს, მეგობრისა და მეგობრობის მცოდნესა და გამტანს, ჩინებული ოჯახის ღირსეულ თავკაცს დაბადების დღეს ვილოცავთ. იხარეთ, იღვებრძელებთ.  
**საზოგადოება "საბრძოლილი"**



**სამსკალიაფი, რუსთაველის №23-ში,  
ვიკრად სარტუღუ, ვუნეციიანიკაბს  
სიღამაზის სალონი "LENU".  
უე ბავაჯაფილი სიღირსტაბი  
ბიგაბსაუნეაბიანს.  
ტაღ.: 599 313 318**

**რედაქციის მისამართი:  
საბრძოლილი, რისაუბლიკის ქ. №6  
ტელ: 790 391839**



დირექტორი ბაჟან გოგია  
მთავარი რედაქტორი ქიქიძეან ჭილიძე  
გამომშვეები რედაქტორი თაბა ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაშვილი